89-წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №20-21 (7074) 21 ოქტომბერი 2022 წელი •Facebook გაზეთი თერჯოლა

ლაშა გოგიაშვილი

2022 წლის 8 ოქტომბერს, ტრაგიკული შემთხვევის შედეგად, 42 წლის ასაკში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი გარდაიცვალა.

ლაშა გოგიაშვილის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ უკიდურესად დაამწუხრა არა მარტო მისი ოჯახი — მეუღლე, სამი შვილი, მამა, დედმამიშვილები, მამიდები, უახლოესი ნათესავები, მეგობრები, თერჯოლელები, არამედ ყველა, ვისაც მის გამორჩეულ ადამიანურ თვისებებზე სმენოდა, ვინც კარგად ხედავდა თუ როგორი თავდადებით იღწვოდა იგი თერჯოლისათვის, რაც დაეტყო კიდეც მუნიციპალიტეტს, მის ინფრასტრუქტურას, თერჯოლელთა ყოფა-ცხოვრებას...

ლაშა გოგიაშვილი დაიბადა 1979 წლის 3 ნოემბერს. 2004-2009 წლებში სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.

2002-2010 წლებში მუშაობდა სხვადასხვა კერძო ორგანიზაციაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2012-2017 წლებში იყო სსიპ „საქართველოს ფოლკლორის ცენტრის“ სამეურნეო დარგის მთავარი მენეჯერი. 2017 წლიდან 2020 წლის 31 მარტამდე იკავებდა ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორის მოადგილის თანამდებობას.

2020 წლის აპრილიდან იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ არჩეული მერი.

„ქართული ოცნების“ წევრი, ლაშა გოგიაშვილი, თერჯოლის მერის თანამდებობაზე 2021 წლის ადგილბრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მეორედ აირჩიეს. მანამდე პირველი ვადით ამ პოსტზე მას მხოლოდ 1 წელი მოუწია მუშაობა.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ თერჯოლის მერის, ბატონი ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო.

მისი სახით ჩვენმა გუნდმა, თერჯოლამ და მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა ახალგაზრდა, თავისი ქვეყნის პატრიოტი სახელმწიფო მოღვაწე.

გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებ ბატონი ლაშას ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და თანამებრძოლებს.

ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს და ყველას.

ის დააკლდება თითოეულ ჩვენგანს, გუნდს, თერჯოლას და რეგიონს.

ბატონი ლაშა, გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით. მისი ინიციატივით მუნიციპალიტეტს ბევრი წარმატებული პროექტი დარჩება.

ძალიან ვწუხვარ, რომ დავკარგეთ კარგი მეგობარი, ღირსეული და საუკეთესო ადამიანი!

ზვიად შალამბერიძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოხატავს მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო.

ძალიან სამწუხაროა, როდესაც ასეთი ადამიანები ნაადრევად მიდიან ამ ქვეყნიდან, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და გულშემატკივრებს, რომელთაც ასე ძალიან უყვარდათ.

ლაშა გოგიაშვილი 2020 წლიდან მუნიციპალიტეტის მერად იქნა არჩეული. მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო რაიონისთვის, ქვეყნისთვის.

ის იყო საქმისადმი სიყვარულით, ერთგულებით, პროფესიონალიზმით, მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული ადამიანი, რომელსაც ქალაქის წარმატებისთვის თავი არასოდეს დაუზოგავს.ჰქონდა საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ლაშა გოგიაშვილი დიდი დანაკლისია მთელი მუნიციპალიტეტისთვის და რეგიონისთვის. თითოეული ჩვენგანი ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს და გაიხსენებს როგორც წარმატებულ, ღირსეულ ადამიანს და მოქალაქეს.

ამ გაზეთთან ერთად მოითხოვეთ სპეციალური ჩანართი — ლაშა გოგიაშვილი

ძალიან დიდი ტკივილი და ტრაგედიაა შენი დაკარგვა ყველა შენი მეგობრისთვის! ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული!

ირაკლი კობახიძე

სანამ ცოცხალი ვარ, რასაც შევძლებ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ცოტათი მაინც დარჩე ჩვენთან...

ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი, თუ რამის გადატანა ასე გამიჭირდებოდა.

მადლობა სამაგალითო ძმობისთვის!!! შეხვედრამდე...

მამუკა მდინარაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი

ვწუხვარ იმ დიდი ტრაგედიით, რაც თერჯოლაში, თერჯოლის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალებით მოხდა.

ლაშა იყო ახალგაზრდა, ენერგიული, კარგი ოჯახის შვილი, განათლებული ადამიანი.

ამ დიდ ტრაგედიას ვუთანაგრძნობ ლაშას ოჯახს, მათ ახლობლებს.

ბეჟან წაქაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო.

ძალიან ვწუხვართ, რომ დავკარგეთ კარგი მეგობარი, ღირსეული და გამორჩეული ადამიანი. ვუსამძიმრებთ ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს. ბატონი ლაშა გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით, მაღალი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით.

ლაშა გოგიაშვილი დიდი დანაკლისია მთელი მუნიციპალიტეტისთვის და რეგიონისთვის. თითოეული ჩვენგანი ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს და გაიხსენებს მას როგორც წარმატებულ, ღირსეულ ადამიანს და მოქალაქეს.

გიორგი ბარათაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ჩვენი გაზეთის ამ ტრადიციული რუბრიკით გაგაცნობთ მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის იმ აქტივობებს, რომელსაც ის, როგორც წესი, გარდაცვალების წინა დღეებშიც გამორჩეული ენერგიულობით ატარებდა... თათბირები, მოსახლეობასთან შეხვედრები, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოების ადგილებზე გაცნობა, სხვადასხვა კულტმასობრივ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობა და მრავალი სხვა. ასეთი დატვირთული იყო მისი სამუშაო რეჟიმი ტრაგიკულ საბედისწერო დღემდე...

საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში...

ნარმატებით ხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი და ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების ნარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნენ.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს 115 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. მათ შორის, აღსანიშნავია სრიგპ ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები, ძირითადი მიმართულება საგანმანათლებლო და ტურისტული ინფრასტრუქტურაა, ასევე სკვერებისა და რეკრეაციული სივრცის მოწყობა, რაც მუნიციპალიტეტს ახალ შესაძლებლობებს შემატებს. ამასთან მინდა აღვნიშნო ის დიდი მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს მთავრობის, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ასევე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულიდან ვგრძნობთ“—განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა.

ქალაქ თერჯოლაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში 120 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღის ეზო. აღნიშნული პროექტის ღირებულება 2 243 845 ლარს შეადგენს.

აქტიურ ფაზაშია მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ამფითეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში, ღია სცენა, დასასვენებელი სკამები, ტრიბუნები, მისასვლელი ბილიკები და განათების სისტემა მოეწყობა.

გარდა ამისა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ამფითეატრის მიმდებარე შენობებს, რომლებიც ამორტიზებულია და საჭიროებს განახლებას. პროექტის ღირებულება 1 093 667ლარია.

სოფელ ძევრში, მდინარე ძევრულას კარსტულ ხეობაში რეკრეაციული ზონა მოეწყობა. პროექტის ფარგლებში საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება, ავტოპარკინგის მშენებლობა, მოეწყობა საინფორმაციო შენობა, საპიკნიკე ფანჩატურები, გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკი, მდ. ძევრულაზე გადასახედი, გამჭვირვალე კონსტრუქციით; შშმ პირებზე ადაპტირებული გარემო, გარე განათების ქსელი.

სამუშაო შეხვედრას, გუბერნატორის მოადგილე, ბესიკ გოფოძე, მერის მოადგილე, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, ასევე ძევრი, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი, მანუჩარ ფანჩულიძე ესწრებოდნენ.

ინფრასტრუქტურული პროექტები, სამომავლო გეგმები და ახალი ფესტივალი

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო თათბირზე იმერეთის მუნიციპალიტეტის მერებთან რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე პროექტებზე გაამახვილა ყურადღება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად პრობლემურ საკითხებზე იმსჯელა და დროული რეაგირებისკენ მოუწოდა მათ.

გუბერნატორმა შეხვედრაზე მომდევნო ნლის ბიუჯეტთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2023 წელს, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად იმერეთისთვის დაგეგმილია ბიუჯეტის გაზრდა და აღნიშნული თანხით გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების გაუმჯობესების, გაზიფიცირების პროექტები და სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

ზვიად შალამბერიძემ ღვინის ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებზეც ისაუბრა. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საფუძველი ეყრება ფესტივალს, რომელიც ემსახურება ქართველი მეღვინეების სტიმულირებასა და ღვინის სამშობლოს პოზიციონირებას საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული ფესტივალი იმერეთის სამ მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, თერჯოლა, ბაღდათი) გაიმართება. მიზანი იმერული და ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციაა.

ღვინის დღეების ფარგლებში, გათვალისწინებულია დღის და საღამოს შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები, გათვლილია როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ისე საერთაშორისო ვიზიტორებზე;

ღვინის ფესტივალი ნარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას ღვინის სამშობლოში და მიზნად ისახავს, სამომავლოდ, დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიო ღონისძიებების კალენდარში. უნდა აღინიშნოს, რომ თერჯოლაში ღვინის ფესტივალის ჩატარების კარგი ტრადიციაა, რომელიც კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება მისთვის ახალი სტატუსის მინიჭებით.

უფასო ოფთალმოლოგიური კვლევები...

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და დროული დიაგნოსტიკის მიზნით, სამედიცინო ცენტრის „აილაინის“ ინიციატივით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო ოფთალმოლოგიური კვლევები ჩაუტარდათ.

სამედიცინო აქცია სოფელ თუზში არსებულ ამბულატორიაში მოეწყო, სადაც პაციენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოფთალმოლოგიური მომსახურება მიეღოთ.

სამედიცინო ცენტრი აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური აპარატურით და გამოირჩევა კვალიფიციური კადრებით. სამედიცინო აქცია მომავალშიც გაგრძელდება და საჭიროების შესაბამისად სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებსაც მოიცავს.

აქცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ...

სოფელ ძევრში, ქვერუნას მიმდებარედ, აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოები.

გზის სამშენებლო სამუშაოებს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო და დამატებითი საჭიროებების შესახებ ისაუბრა.

„სამუშაოები სტიქიის სალიკვიდაციო ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს. ამ დროისთვის ინტენსიურად იწმინდება მდინარის კალაპოტი, უახლოეს დღეებში დაიწყება ნაპირსამაგრების მოწყობა და აღდგება დაზიანებული გზის საფარი. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება“-აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებს, კონტრაქტორი კომპანია- შპს „გადამზიდი 20“ ანხორციელებს.

სამუშაო შეხვედრას, მერის მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, ძევრი-ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი, მანუჩარ ფანჩულიძე და მერის წარმომადგენელი ფრიდონ კუტალაძე ესწრებოდნენ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო.

ბატონი ლაშა გახლდათ გამორჩეული, სამაგალითო და ღირსეული პიროვნება, ერთგული მეგობარი, ამასთან ერთად, მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმითა და საკუთარ ხალხზე უზომო სიყვარულით აღვსილი ადამიანი.

ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის ერთგული მეგობარი და მაღალი ღირსების ადამიანი!

ბატონი ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალება თითოეული ჩვენგანისთვის განსაკუთრებული ტკივილი და დიდი დანაკლისია!

ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, მეგობრებს და ყველა ახლობელს!

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია მწუხარებას გამოთქვამს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

სამძიმარს ვუცხადებთ ლაშას

ოჯახს, მეგობრებს და თერჯოლის მუნიციპალიტეტს.

ვალერიან (ვალტერ) გოგიაშვილი მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ლაშა გოგიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

მორიგი საინფორმაციო შეხვედრა...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა შეხვედრა გამართა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ევროინტეგრაციის საკითხებზე.

შეხვედრის მონაწილეებს იმერეთის ბიუროს ხელმძღვანელმა, მარიკა ვაჭარაძემ ცენტრის მიზნებსა და საქმიანობის პრიორიტეტებზე ესაუბრა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა, დავით ბუჯიაშვილმა ყურადღება გაამახვილა ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის დინამიკასა და ევროინტეგრაციის პროცესში მიღებულ სარგებელზე .

ასევე, საუბარი შეეხებოდა ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების მნიშვნელობას, კანდიდატის სტატუსის მისაღებად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შემდგომ ეტაპებზე, რომელსაც ქვეყანა გადის კანდიდატის სტატუსის მიღებიდან წევრობამდე.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

საინფორმაციო შეხვედრას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ჯემალ ისაკაძე და ნინო ჩხიკვაძე, ასევე სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საგზაო ინფრასტრუქტურა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან ერთად ჩხარი-ენერისა და ძევრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა ადგილზე დაათვალიერა, სადაც პროექტის მიმდინარეობას გაეცნო და დამატებითი საჭიროებების შესახებ ისაუბრა.

პროექტი რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ფარგლებში მიერთებები, ადგილობრივი შესასვლელები და სანიაღვრე სისტემა მოეწყობა. გზის სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ბორანი“ ახორციელებს. აღნიშნული პროექტი გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ბარდუბანსა და ჩიხორში.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა: ბარდუბანი-სათემოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზა;

ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

უახლოეს დღეებში დაიწყება სოფელ ღვანკითსა და სარბევში საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები.

სამუშაო შეხვედრას მერის მოადგილე, მანუჩარ რობაქიძე, ასევე ძევრი, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი, მანუჩარ ფანჩულიძე ესწრებოდნენ.

***

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან და ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ელისო მურადაშვილთან ერთად, ქალაქ თერჯოლაში მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები ადგილზე დაათვალიერა, სადაც პროექტის მიმდინარეობის, ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ ისაუბრა.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. ამ დროისთვის ვარლამ მაკარიძის ქუჩაზე, ასევე მაჩიტიძეების უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში განხორციელდება მიერთებების, ადგილობრივი შესასვლელებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა, რაც თერჯოლის მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს ქალაქის მასშტაბით, კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაადგილდეს. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება სოფელ ღვანკითსა და სარბევში გზის მოწყობის სამუშაოები“— აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

ამავე დღესვე, ხელმძღვანელი პირები სოფელ ბარდუბანშიც იმყოფებოდნენ, სადაც ბარდუბანი-სათემოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერეს.

აღნიშნული გზების რეაბილიტაცია რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

გარდა ამისა, რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გზის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, სოფელ ჩხარი-ენერსა და ჩიხორში, სადაც პროექტის ფარგლებში მოეწყობა;

ჩხარი-ენერი ძევრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა;

ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

სამუშაო შეხვედრაზე მერის მოადგილეები, მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯემალ ისაკაძე, ბარდუბნისა და ენერის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ვერულაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

სასკოლო სპორტის განვითარებისთვის...

საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით, სასკოლო სპორტის კვირეულის ფარგლებში, გაიმართა სხვადასხვა სპორტული აქტივობები.

ჩატარდა ამხანაგური მატჩი გოგონათა საფეხბურთო გუნდებს შორის, ასევე სანახაობრივი ჩვენება მოეწყო სპორტულ ტანვარჯიშში. ღონისძიებაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

პროექტის მიზანია, საქართველოში სასკოლო სპორტის განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მასობრივი სპორტის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

პროექტი მხარდაჭერილია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

მოქალაქეთა ჩართულობით

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, სოფელ ბარდუბანში ბავშვთა გასართობი სივრცე მოეწყო.

მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილესთან მანუჩარ რობაქიძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დასრულებული პროექტი ადგილზე დაათვალიერა და დამატებით საჭიროებებზე ისაუბრა.

პროექტის ფარგლებში, აქ გაკეთდა ატრაქციონი, ფანჩატური და ძელსკამები, ასევე დამონტაჟდა გარე განათება.

სამოქალაქო ბიუჯეტირება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გამოხატვის საშუალებას იძლევა. პროცესის მიმდინარეობისას მოქალაქეთა ჩართულობა და გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებას.

თავის დროზე პროექტის სოფელ ბარდუბანში განხორციელებას მხარი დაუჭირა სამოქალაქო ბიუჯეტირების მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა კომისიამ.

სახლები სოციალურად დაუცველებისათვის...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დასკვნით ეტაპზეა სოციალურად შეჭირვებული ცხრა ოჯახისათვის სახლების მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქ თერჯოლაში, სოფელ ახალთერჯოლასა და ენერში იმყოფებოდა, სადაც სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაო პროცესებს ადგილზე გაეცნო, ბენეფიციარებს გაესაუბრა და სამომავლოდ გვერდით დგომას დაპირდა.

„სახლდაზიანების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, წარმატებით ხორციელდება. ამ დროისთვის დასრულებულია ოთხი ბენეფიციარის სახლის მშენებლობა, პროცესი აქტიურად გრძელდება და მიმდინარე წელს ცხრავე ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას“—განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში სახლდაზიანების პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის გამოყოფილი თანხა მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით გაიზარდა და მიმდინარე წელს ნაცვლად ხუთი სახლისა, ცხრა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განხორციელდება.

პროგრამის ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სამუშაო შეხვედრას, ახალთერჯოლისა და სიქთარვის მაჟორიტარი დეპუტატი, ჯემალ ისაკაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ძევრულპესის თანამშრომლები იუწყებიან თერჯოლის მერის
ლაშა გოგიაშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბარდუბნის №1 ბაგა-ბაღის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი
ლაშა გოგიაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თერჯოლის №2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თერჯოლის მერის
ლაშა გოგიაშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და თითოეულ თერჯოლელს.

მისთვის მომავალი რთველი წლევანდელის დამთავრებისთანავე იწყება...

დადგა ოქროსფერი შემოდგომა. რთველი მოადგა კარს მევენახე კაცს. წლევანდელ წელზე ვამბობთ—არახელსაყრელმა ამინდებმა მოსპო ვენახი, მაგრამ ქ. თერჯოლაში, სიქთარვისაკენ მიმავალ გზაზე, კეთილმონყობილ დიდ სახლში, ვარდ-ყვავილებით გადავლილ ეზოში ცხოვრობს ოჯახი, რომლის ყველა წევრი შეძლებისდაგვარად შრომის მაქსიმუმს დებს საერთო დოვლათის მიღებაში. დიახ, თამაზ კირკიტაძის 2400 ძირ ხრულ მსხმოიარე ვენახს, ერთი შეხედვით „მოსპობის“ არაფერი ეტყობა, თუმცა, როგორც თამაზმა თქვა, შარშან უკეთესი ჰქონდა, დარდობს, რომ წელს მნიშვნელოვნად არის შემცირებული მოსავალი. კარგი მევენახე რთველს რომ დაამთავრებს, მეორე დღესვე იწყებს საომმავლოდ მზადებასო ამბობს და ასეც იქცევა, მომავალი წლის მოსავალს ყურძნის მოკრეფის მეორე დღიდანვე ეყრება საფუძველი.

ვეძებდი და ვპოვე

...კარგ მევენახეზე წერილის მომზადება გადაწყდა. ფიქრია „გოჯილასავით“ თავზე ხელშემოდებული ვფიქრობ და ვიხსენებ ძველი თაობის მევენახეებს, იმ იმედით, რომ იქნებ, კვლავ გრძელდება ამ ოჯახებში ტრადიცია. ამასობაში მანანა კირკიტაძემ მითხრა—ბიძაშვილი მყავს, კარგი ვენახი აქვს, მეპიტონიკეობასაც მისდევდნენ წინა წლებშიო. იზრუნა ჩემმა მეგობარმა, მაგრამ გულახდილი ვიქნები, მე რომ ხშირად ვეძებ გამორჩეულ მევენახეს, რაგომ ადრე არ მითხრა და ზრდილობის გულისთვის დავთანხმდი, მეორე დღესვე შევხვდით ნაქებ თამაზს...

...და რა კაცი აღმოჩნდა!

თამაზი განათლებულია, ნაკითხი. დამთავრებული აქვს პედაგოგიური სასწავლებელი, არის უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, უმუშაენია კომკავშირის რაიკომში, ნახშირლელის პროფტექნიკურ სასწავლებელში, თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში, ახლა ზესტაფონის ავტომანქანების ბენზინ გასამართ სადგურში მუშაობს. არის 57 წლის, მაგრამ არ ეტყობა.

თამაზს ჰყავს მშობლები ბონდო კირკიტაძე და ნინა ბრაშკო, პოლონური წარმოშობის. ბონდოს და ნინას მინსკში, ბონდოს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ყოფნისას გაუცვნიათ ერთმანეთი, 1954 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ, დღემდე სიამტკბილობით და ძველებური სიყვარულით ცხოვრობენ, შრომობდნენ, ქმნიდნენ, აშენებდნენ. ახლა ასაკოვნები ისვენებენ მძიმე შრომისგან, რაც შეუძლიათ იმას აკეთებენ და თამაზმა იკისრა ოჯახის გაძღოლა. აღმოჩნდა, რომ შვილების გარდა, ოჯახის ყველა წევრს ვიცნობდი, თამაზის მშვენიერ მეუღლეს იამზე ქვათაძესაც. თამაზს და იამზეს სამი შვილი ჰყავთ—ნინო, ზურაბი, ბონდო. ნინო ზესტაფონში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, ზურაბი თბილისში ავერსის კლინიკაში მუშაობს დეენემის ლაბორატორიაში, ჰყავს მეუღლე, ბონდო „უმცროსი“ თბილისის 52-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა, მამიდასთან არის.

ბატონი ბონდო წლების განმავლობაში მევენახეობა-მეპიტონიკეობას მისდევდა. 2400 ძირი ვენახი მისი გაშენებულია, ყოველწლიურად 10-12 ტონა ყურძენს მიჰყიდდა საბელმწიფოს, ცნობილი იყო როგორც მეპიტონიკე, ვენახიც საკუთარი ნერგით აქვს გაშენებული. საძირე, ე.ნ. „მწარე“ კახეთიდან, ბოლნისიდან მოჰქონდა, 10-12 ათასს ნამყენს აკეთებდა, ჭილით აბვევდა, 5000 საუკეთესო ხარისხის ციცქა-ცოლიკაურის, ოცხანურის ნერგი ამოჰქონდა. დიდი შემოსავალი ცხადია ეკონომიურად აძლიერებდა და შრომა-კეთების სურვილს უძლიერებდა, მაგრამ უხაროდა ისიც, რომ ნერგის თითოეული ძირის გაყიდვით, ვენახი, ჩვენი საფიცარ-სათაყვანებელი, მისი ნერგითაც შენდებოდა ჰექტრობით მიწაზე.

წლებმა, ავადმყოფობამ თავისი გაიტანა, ბონდოს ძველებური შემართება აღარ აქვს, ამიტომ თამაზმა მამის საქმე მთლიანად „გადაიბარა“, თუმცა არც ბავშვობაში და არც ახალგაზრდობაში უშრომელი არ ყოფილა, თამაზი იცნობს ივანე ჯავახიშვილის იმ ცნობილ ნაშრომს, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საკითხებს შეეხება.

2400 ძირი ვენახი ორ ფართობზე აქვს. ერთი სახლთან, ერთი მოშორებით, ორი კილომეტრის სავალზე. მე სხვა მევენახეებზეც გამიკეთებია მოკრძალებული წერილი, ზოგადად მიყვარს ეს თემა, მაგრამ მსგავსი ვენახი—არსად, არასოდეს მინახავს. ფართობი ისეა დამუშავებული ნემსს იპოვნი, ლარივით სწორი მწკრივები და არც ერთი ზედმეტი ფოთოლი არც ერთი ზედმეტი ყლორტი, ბიჭა-ბიჭას სანთლით რომ ეძებო ვერ ნახავ. ძველ თაობას ახსოვს კარგი მევენახეები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სოციალისტური შრომის გმირები, ამ დარგში რომ იღებდნენ ამ წოდებას, მაგრამ თამაზის ვენახს ვერ აჯობებდა.

საინტერესოა რამდენჯერ უნდა მიხვიდე წლიდან-წლამდე ერთ ძირთან, რომ ვენახს მოვლილი ერქვას, ნეტა რამდენჯერ მიდის თამაზი თითოეულ ძირთან და რამდენ დღეს მუშაობს! ალბათ დიდთოვლიანობისას თუ შეისვენებს, ოდნავ.

პატარა ჩანართი— ათეული წლების წინანდელი ამბავი

მახსოვს, 80-იან წლებში, კახეთში მონყობილი ექსკურსია, „საჩვენებელ“ ვენახშია გადაღებული კახელ მასპინძლებთან ერთად. დააკვირდით, ეს ვენახი ვერ მივა თამაზის ვენახთან.

„მერცხლის ბუდესავით შეკრული მტევნები“

9-10 ტონა ყურძენს იღებს ყოველწლიურად. ჰყავს მყიდველი, წელსაც გარანტირებულად გაყიდის, წურავს იმდენს, რაც ოჯახს ყოფნის. მოჰყავს ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, აქვს ოცხანურის ტალავერი, ღია ჭურისთავი და დიდი სარდაფი, სადაც სიცხე-სიცივის ცვალებადობა ნაკლებად იგრძნობა, იყენებს მინის ჭურჭელს, ყურძენს ამუშავებს ტექნოლოგიების სრული დაცვით და დგება ღვინო „მაგარი, კარგი, შემრგე, გემოიან-სუნიანი მრავლად“.

წამლობას 10-ჯერ ატარებს, საიმედო პრეპარატებით, „კასტრალის“ ფირმიდან. პირველ ორ წამლობაზე 200—ბოლო წამლობაზე 800 ლიტრი ხსნარი სჭირდება, წამლავს ზურგის ელექტროაპარატით, ტონა წყლის ჩასავალ ქვიტკირის ავზებს სახლიდან ჩატანილი წყლით ავსებს. წამლავს 10 დღიანი ინტერვალით, წამლობას ორი დღე სჭირდება. თავის დროზე ატარებს მწვანე ოპერაციებს, სხვლა-ფორმირებას, დროულად კრეფს, წურავს, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს საოცარი და სასიამოვნო ფაქტი ნამდვილია.

აუჰ...

ამბროზიას ვერაფერი კლავსო—გამიგია, მომიცელა ვენახი ერთმა კარგმა მეზობელმა, დაეფინა ძირს ნახევარმეტრიანი ამბროზია, მრავალნაირი ბალახები და ქვეყანა ჩემი მეგონა. უნდა დაიბაროს და ძირები ამოიღოო—დამაკვალიანა თამაზმა, მაგ მეც ვიცი, რამე იოლი თუ იცი—თქვა. რამდენი ხანია არ დაბარულაო მკითხა და დავფიქრდი, 1998 წლიდან რა დრო გავიდათქვა. ოცდაოთხიო—მიანგარიშა და გაგიუდა კაცი, გაკვირვება, გაოცება და საცოდაობა—ერთად ერთი სიტყვით გამოხატა, აუჰ...

პოლიკარპე და ანაპოდისტე

თამაზს გვარმა ცხადაძემ კითხვა გაუჩინა—ანაპოდისტე ცხადაძე რა იყო თქვენიო. განაყოფები იყვნენ ჩვენი წინაპრები, ანაპოდისტეს ბავშვობა სიქთარვაში გაუტარებია, თბილისში ცხოვრობდა, სიქთარვაში ხშირად ჩამოდიოდა, რესპუბლიკის პროკურორი იყო, უნაკლო ფიზიკურად და უბადლო თამადა, სუფრის სამართალი აქვს დაწერილი, რომელიც მეც მაქვს—თქვა ვუთხარი. მწირი ინფორმაცია მივაწოდე, თუმცა მის ცხოვრებიდან ბევრი რამ ვიცი, ახლო ურთიერთობა მაქვს მის შთამომავლებთან. თამაზმა ამ ნათქვამს ორი ამბავი მოაყოლა, ორივე საინტერესო.

* * *

თამაზის ბაბუა კონსტანტინე რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობდა, როცა რუსეთმა ომი მოიგო კონსტანტინე

და სხვა მებრძოლები ოქროთი დაუსაჩუქრებიათ. ამ ოქროთი კონსტანტინეს გენტორ ნულუკიძისგან 25 ქცევა (12,5 ჰა) მუხნარი უყიდია, მაშინდელ გლისოურის ტერიტორიაზე. მერე მიწები ჩამოურთმევიათ და 1 ჰექტარი დაუტოვებიათ ქოჩიაშვილების უბანში. ოც წელზე მეტი ფლობდნენ ამ მიწას კირკიტაძეები, 6000 ძირი ვენახი ჰქონიათ. კონსტანტინე იმ პერიოდში სამხედრო კადრს ამზადებდა თურმე დედაღვთისას ტერიტორიაზე. გაიხსენა მამის ბიძა პოლიკარპე, რომელიც მოსკოვში ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობდა. 1936 წელში სტალინის წინააღმდეგ გამოსულა, ოცდაჩვიდმეტში დაუჭერიათ და ციმბირში გადაუსახლებიათ, გამოქცეულა გადასახლებიდან, დიდი წვალებით ჩამოსულა, მაგრამ მალე ჩხარში მიუგნიათ, ომიც დაწყილა და ფრონტის წინა ხაზზე გაუგზავნიათ. აქედანაც გამოიქცა და მიუსჯიათ დახვრეტა. პოლიკარპე კარგად იცნობდა თურმე ანაპოდისტეს, ისინი ერთი ასაკისანი ყოფილან და ერთად სწავლობდნენ ჩიკვაიძის სკოლაში. ანაპოდისტეს მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა, როგორლაც მიუნდენიათ ხმა, ანაპოდისტემაც ასწავლა გზები ციხეში როგორ მოქცულიყო. დახვრეტას გადარჩენილისათვის 10 წელი მოუსჯიათ, არც ციხე უნდოდა, ანაპოდისტე ველარ დახმარებია—დახვრეტას გადავარჩინე, იყოს ახლა ცოტა ხანს ციხეშიო. ციხიდან გამოსული პოლიკარპე რუფოთში დასახლდა, უმკურნალებია, გადარჩენილა, ოჯახიც შეუქმნია და აგერ, ახლახან 1986 წელს გარდაიცვალა. ანაპოდისტე კი მასზე დიდი ხნით ადრე. ეს ამბები საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ პოლიკარპეს და ანაპოდისტეს ერთმანეთთან კავშირი აუცილებლად ექნებოდათ—ასე ფიქრობენ კირკიტაძეები და ეძებენ არქივს, უნდათ მეტი იცოდნენ წინაპრებზე...

* * *

კიდევ რამდენიმე დღე და დაამთავრებს რთველს თამაზ კირკიტაძე—ცოტას დაისვენებს და ისევ შეუდგება რთულ, მაგრამ აუცილებელ და სასიამოვნო შრომას. მერე შობა-ახალი წელი დადგება, ტრადიციების დამცველი ოჯახი ხორაგით აავსებს უზარმაზარ გობს, ვენახში ქათამს დაკლავენ, შობის წინა დღეს კი უზარმაზარ ღორს. შეიკრიბებიან ოჯახის „გაფანტული“ წევრები და გამთენიისას ერთად დაელოდებიან მეფეხეს, წინასწარ შერჩეულს, კარგი ფეხისას...

ეკატერინა ცხადაძე

„მომავალი იწყება აქ“

...29 სექტემბერი სოფელ ზედა საზანოს ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თარიღად შევა. ამ დღეს აქ ახალი ბაგა-ბაღი გაიხსნა. სოფელი თვალს ადევნებდა ბაგა-ბაღის მშენებლობის მთელ პროცესს, მშენებლობა 9 თვეს მიმდინარეობდა და ვადაზე ადრე 2022 წლის 22 ივნისს ჩაბარდა. ბაგა-ბაღის მშენებლობა 944 ათასი ლარი დაჯდა (მშენებელი ფირმა მგმ (მეელუდ გეწაძე). მშენებლებს (გიორგი ბოჭორიშვილი) და ყველას, ვინც ერთი აგური მაინც დადო მშენებლობაში, საზანოელები მადლობას უხდიან, ეუბნებიან, რომ დაიმახსოვრებენ მათ გვარს და სახელს.

ბაღში ამჟამად 35 აღსაზრდელია, ამბობენ, რომ კიდევ მოიმატებს მათი რიცხვი. ბაღი 100 აღსაზრდელზეა გათვლილი. უახლოეს წლებში მისი სრული დატვირთვა, ოჯახთა სიმრავლე, დაბადებულების გაზრდა, დაბადება ისურვა ყველამ. არ ჩამოვთვლით, აქ არის ყველაფერი, რაც ბაგა-ბაღის თანამედროვე ფუნქციონირებისათვის არის საჭირო.

„მომავალი იწყება აქ“—ეს

მარადიულად სასურველი და ბევრის მთქმელი სამი სიტყვა ამშვენებს ბაგა-ბაღის შესასვლელს.

ბაგა-ბაღის გახსნის საზეიმო ღონისძიებაზე პირველი სიტყვა ბაგა-ბაღის მეთოდისტმა მაია ჭანკვეტაძემ თქვა. მან ბაგა-ბაღის კოლექტივს, მშობლებს, აღსაზრდელებს, სოფელს მიულოცა ბაგა-ბაღის გახსნა. მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს, სოფლის წარმომადგენლობას, მშენებლებს და სამადლობელი სხვადასხვა

დროს არაერთხელ გაიმეორა.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე—ბატონი ლევან სანიკიძე, მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი, მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილი, საზანოსა და თუზის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში დავით გოგბერაშვილი, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელში, გიორგი ჩუბინიძე, სკოლის დირექტორი მამუკა მექვაბიძე, ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლები, მშენებლები, ქ. ტყიბულის, სიქთარვის, ღვანკითის, ბარდუბნის, თერჯოლის №2 და №3 ბაგა-ბაღების მეთოდისტები, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ღონისძიებას ესწრებოდა და დამსწრე საზოგადოება დალოცა წმ. გიორგის სახელობის მოძღვარმა მამა დავით ჭანტურიძემ. მას ეკუთვნის ყველაზე სწორი და დასამახსოვრებელი სიტყვები „ბაღი, სკოლა და ეკლესია“ აძლიერებს სოფელს, ხაზი გაუსვა, ამ სამი რგოლის როლს, მნიშვნელობას და სოფლის წარმომადგენლობასთან მათ მჭიდრო კავშირს.

შეკრებილთ სიტყვით მი-

მართა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ ლევან სანიკიძემ, მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ გია ბარათაშვილმა, რომლებმაც ახალი ბაგა-ბაღის გახსნა მიულოცეს სოფელს, წარმატებები უსურვეს ბაგა-ბაღის კოლექტივს, კვლავაც დახმარებასა და თანადგომას დაპირდნენ სოფელს.

მოწვეულმა სტუმრებმა, ყველამ, ვინც ბაგა-ბაღის გახსნის ზეიმს ესწრებოდა, დაათვალიერეს ბაღის შიგა ინტერიერი, შეაქეს მშენებლები, კმაყოფილება გამოხატეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით. მერე, სტუმრები წავიდნენ. მაჟორიტარი დეპუტატი დავით გოგბერაშვილი შეხვდა სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის და ბაღის თანამშრომლებს.

მაია ჭანკვეტაძის აქტიურობამ, მასპინძლობამ, საზეიმო ღონისძიების გახსნამ და მისმა პირველმა სიტყვამ, რომელსაც როგორც წესი, ასეთ და ყველა მსგავს შემთხვევაში, პირველი პირი აკეთებს, მოლოდინები გააჩინა, თინათინ მოდებაძე, ბაგა-ბაღის გამგე ხომ იქვე ტრიალებდა, ბაღში ცვლილებების შესახებ დეპუტატმა დავით გოგბერაშვილმა ისაუბრა. ამიერიდან ბაგა-ბაღის გამგე მაია ჭანკვეტაძე იქნება, გამოცდილი მეთოდისტი და აქტიური თანამშრომელი. თინათინი რიგით თანამდებობაზე დარჩება, არის დრო დავისვენო, საკმარისია 35 წელიო—თქვა.

საზანოში პირველი ბაგა-ბაღი 40 წლის წინ გაიხსნა, თინათინი პირველად აღმზრდელად მუშაობდა, 35 წელია გამგეა, თანაც ერთ-ერთი მოწინავე.

მაია ამბობს, რომ ერთად ერთ საქმეს გააკეთებენ, მაია გამოიყენებს თინათინის გამოცდილებას, თინათინიც კვლავ მის გვერდით იქნება.

მეც ბევრჯერ შევსწრებივარ თანამდებობის პირთა ხან გათავისუფლებას, ხან გადაადგილებას, თვითონაც გამომიცდია გადაადგილება არა ერთხელ, მაგრამ ასე უმტკივნეულოდ და ღირსეულად წასვლა, იშვიათად მინახავს.

იმ რწმენით წამოვედით, რომ მაიასა და თინათინის ეს სიამტკბილობა არ იყო მოჩვენებითი.

მაია თორთლაძე ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ბევრმა მოიკითხა, იგი ამ ზეიმს არ ესწრებოდა, როგორც მუნიციპალური ცენტრის მეთოდისტმა დალი სოფრომაძემ თქვა მაია პოლონეთშია, მეთოდურ 10 დღიან სწავლებას გადის. ამ საკითხზე მაიას ინტერვიუ შეკვეთილი აქვს.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლელი აღმზრდელ-პედაგოგები საერთაშორისო კონფერენციაზე

როგორ გარემოში, ვის მიერ, რა მეთოდით იზრდებიან ქვეყნის ნორჩი მოქალაქეები—მუდმივი ზრუნვისა და ძიების საგანია და პასუხის მისაღებად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს უნდა ვესტუმროთ... ჩემი მრავალწლიანი ჟურნალისტური საქმიანობა და ამ დაწესებულებებთან ურთიერთობა გარკვეულწილად მაძლევს იმის უფლებას ვთქვა გულწრფელად, რომ მასშტაბურია ის საგანმანათლებლო საქმიანობა, რაც საბავშო ბაგა-ბაღებში მიმდინარეობს... პროექტები, პრეზენტაციები, აქტივობები, მიმდინარე და შემაჯამებელი, კულტურული ღონისძიებები, რომლებიც ამა თუ იმ მნიშვნელოვან თემატიკას უკავშირდება, მრავლისმეტყველია და მრავლისმიმცემი პატარებისათვის, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როცა მათ აღზრდა-განვითარებაზე ზრუნავენ ადამიანები, რომლებსაც სათანადო განათლება აქვთ, მოწოდებულნი და მიზანდასახულნი არიან, მუდმივად ზრუნავენ და მუშაობენ თავიანთი პროფესიული დონის განვითარებისა და ამაღლებისათვის, ამასთან, როცა ყოველივე ამას უპირველესი, საქმის და პატარების სიყვარული ასაზრდოებს...

ამ საქმიანობის წარმართვაში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკებს, დიდ სამსახურს უწევს სხვადასხვა მიმართულების სნავლება-ტრენინგები, რომელიც ემსახურება თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილებისა და შეხედულებების შესაბამისად სიახლეების დანერგვას თუ გამოცდილების გაზიარებას და ა.შ. აღნიშნულ ტრენინგებში, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებს, ისინი დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ და ხშირად ერთმანეთსაც უზიარებენ იქ მიღებულ ცოდნას.

მიმდინარე წლის ზაფხულში საქართველოში პირველად, გაეროს ბავშვთა ფონდის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (BSU) ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე: „ადრეული განათლება და ზრუნვა“. კონფერენციის მუშაობაში, საქართველოსთან ერთად, საზღვარგარეთის ქვეყნების აღნიშნული სფეროს ნარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

კონფერენციის ფარგლებში 96 მოხსენებას შორის, სადაც ასახული იყო ადრეული განათლებისა და ზრუნვის სფეროს მრავალფეროვანი თემატიკა, ორი სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ძალისხმევით თერჯოლის აღმზრდელ-პედაგოგი გახლდათ.

ღვანკითის საბავშვო ბაგა-ბაღის მეთოდისტის თეა ქემოკლიძის მოხსენებამ თემაზე: „თამაში და სწავლა“, ასევე თერჯოლის №1 ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის თამარ ჭანტურიძის მოხსენებამ „მშობელთა ჩართულობა და პოზიტიური მშობლების მხარდაჭერა“ დიდი მოწონება დაიმსახურა, კონფერენციის ორგანიზატორთა მიერ თითოეულ მათგანს კონფერენციის სერთიფიკატი გადაეცა.

თეა ქემოკლიძე 2011 წლიდან მუშაობს ღვანკითის საბავშვო ბაგა-ბაღის ფსიქოლოგად, მეთოდისტად. გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები, მათ შორის „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული“—2022 წელს, იგი არის აგრეთვე სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების „მწვანე ჯილდო—2022“-ის ფინალისტი.

თამარ ჭანტურიძეს ქალაქ თერჯოლის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება აქვს. იგი სისტემატურად ზრუნავს პროფესიული დონის ამაღლებისათვის, გავლილი აქვს სათანადო ტრენინგებიც... ძალიან უყვარს საკუთარი საქმე და აღსაზრდელები. ორივე მათგანი ძალიან კარგად ართმევს თავს მინდობილ საქმეს, არიან აქტიური, ინიციატივიანი და ენერგიული მუშაკები, რაც დაადასტურეს კიდევაც ზემოთაღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობით.

ორივე მათგანს მიაჩნია, რომ საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ამიერიდან ყოველ ოთხ წელიწადში გაიმართება სასარგებლო და მრავალისმომცემია და ნამდვილად გამოადგებათ სამომავლოდ საქმიანობაში.

თეა ქემოკლიძე და თამარ ჭანტურიძე, რომლებსაც თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა ფულადი ჯილდო გადასცათ აღნიშნული თანხით საალმზრდელო ლიტერატურის შეძენას გეგმავენ, რათა შემდგომ პატარებთან მუშაობაში გამოიყენონ.

მზია ცქიფურიშვილი

რთველი 2022 დაიწყო

დაიწყო რთველი 2022. ეს პერიოდი ყოველთვის საზეიმო და სადღესასწაულო იყო მეზვრე-მევენახისათვის. ცხადია ასეა წელსაც. ჩვენებური მეურნენი აქტიურად ჩაებნენ ამ საპასუხისმგებლო კამპანიაში. ჭურ-მარანიც მოიყვანეს წესრიგში, კრეფისათვის საჭირო მექანიზაცია და ტარა მასალაც. მიუხედავად იმისა, რომ ამინდების არნახული ჭირვეულობის გამო გაჭირდა ვაზის მოვლა, როგორც სხვაგან, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში, სულ უფრო მეტი მეურნე ცდილობს გააშენოს იგი, დააყენოს ხარისხიანი ღვინო, მოიხმაროს ოჯახისათვის, ხოლო ჭარბ პროდუქციას რეალიზაცია გაუკეთოს. გასახარია, რომ ცნობილ მეღვინეებს სულ ახალი და ახალი სახელები ემატება, იზრდება ღვინის მწარმოებელი კოოპერატივების რიცხვიც... ეს იმითაცაა განპირობებული, რომ დარგი ქვეყნის მასშტაბით მზრუნველობითაა გარემოსილი. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით რთველი 2022-ის მხარდასაჭერად სუბსიდირების პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მიზანია სრულად დაბინავდეს მოსავალი, შენარჩუნდეს დარგის განვითარების დინამიკა.

გვქონდა საშუალება გავსაუბრებოდით ცალკეულ მევენახეებს რთველი 2022-სათვის მზადების პერიოდში:

მერაბ ასათიანი, სოფ. ღვანკითი: ვაზის სიყვარული მამა-პაპიდან მომდგამს. ეს დალოცვილი კულტურა თუ რიგიანად მოუვლი შრომას ასმაგად გინაზღაურებს. ათიოდ წლის წინათ, საკარმიდამო ფართობის დიდ ნაწილზე ციცქა გავაშენე. ნურავინ იტყვის, რომ მას სხვა ჯიში შეედრება. საშამპანურედ

ხომ მისნრებაა და მისნრება. ამ ჯიშის დამსახურება იყო, რომ ერთ პერიოდში თერჯოლურმა შამპანურმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ჩემთან ისეთი ზვარი დადგა სანახავად მოდიოდა ხალხი. მეღვინეობა „ხარება" ახალი შემოსული იყო რაიონში და სულ ჩემგან მიჰქონდათ ყურძენი. ავშენდი კაცი. შემდეგ მათ თავისი ზვრები გააშენეს და მოსავლის რეალიზაცია შეფერხდა, თუმცა ყურძენი გაუყიდელი არასდროს დამრჩენია. მიმდინარე წელს, მიუხედავად ამინდების საშინელი ჭირვეულობისა, მუხლჩაუხრელი შრომით გადავარჩინე მოსავალი. იმედი მაქვს ბარაქიანი რთველი მექნება. საჭიროდ მიმაჩნია გამკაცრდეს კონტროლი სავაჭრო ქსელში გამოტანილ ვაზის შესაწამლ პრეპარატებზე. მათი ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს მოსავლის ავკარგიანობაზე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არაერთ მეურნეს, მიუხედავად იმისა, რომ ვაზი 6-7 ჯერ შენამლეს, ჭრაქი ჩაუვარდათ ვენახში და დაუზიანათ ნაყოფი.

ვაზზე კარგი რა უნდა გააშენოს იმერელმა მეურნემ. უნდა ვუყურთგულოთ და ვამრავლოთ ეს დალოცვილი კულტურა, რომელიც ოდითგან არა მარტო შემოსავლის წყარო, არამედ სულიერების ნაწილი იყო ქართველი კაცისათვის.

რამინ მაკარიძე, ქ. თერჯოლა: ამინდის არნახული კაპრიზები სულ უფრო და უფრო მეტ საფიქრალ-სადარდოს უჩენს მეურნე კაცს. კი, თქვა ცნობილმა აკადემიკოსმა მიჩურინმა—„ჩვენ არ უნდა ველოდოთ მონყალებას ბუნებისაგან, ჩვენ უნდა წავართვათ მას იგი", მაგრამ ეს საუკუნის წინათ ითქვა, როცა ბუნება შედარებით გაწონასწორებული იყო და მეორეც, როგორ უნდა წაართვა როცა თვეების განმავლობაში კოკისპირული წვიმებია და შემდეგ ასევე ხანგრძლივი გვალვა გრიგალ ქარებით, (წელს, რომ იყო იმერეთში). საბედნიეროდ, მთლად არ გაგვწირა ამ დალოცვილმა, აგვისტოს მინურულს კაი გვარიანი წვიმა მოვიდა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადარჩა ყურძნის მოსავალი. თვალსადახელშუა გაცოცხლდა ვაზი, თანდათან დაიწყო შევსება სიცხისაგან შეწუხებულმა მტევნებმა. მევენახე კაცი ვარ და რომ გავიცლი ახლა მწკრივებში გახარებული მაქვს გული. ბავშვივით ვეფერები სიმწიფეში შესულ ნაყოფს. უკვე დავიწყე სამზადისი რთველისთვის, წესრიგში მომყავს ყურძნის დასაწურ-დასაბინავებელი ინვენტარი. ძირითადად ციცქა-ცოლიკაური მაქვს გაშენებული. ბოლო წლებში მათ უნიკალური ჯიშის, ოცხანურის საფერე დავუმატე. მთლიანობაში წელს ალბათ 10 ტონამდე ყურძენს დავკრეფ. ღვინის დაყენების სპეციალისტი ვარ პროფესიით, ვცდილობ ყოველ წელს მაღალი ხარისხის ღვინოები დავაყენიო და გამომდის კიდეც, ამიტომ რეალიზაციის პრობლემაც არ მაქვს. ვისაც სურვილი აქვს მოვიდეს, დააგემოვნოს, ჩემი სახლის კარი სტუმრისათვის მუდამ ღიაა.

ენვერ გავაშელაშვილი, მეღვინეობის კოოპერატივ „შატომარგოს" დამფუძნებელი: ჩვენი საწარმო უკვე 5 წელია ფუნქციონირებს. ამ პერიოდში საკმაოდ დიდი ოდენობის ყურძენი ჩავიბარეთ მევენახე ფერმერებისაგან და გადავამუშავეთ. დავაყენეთ ხარისხიანი ღვინო მასალები. გვეამაყება, რომ ჩვე-

ნი წვლილი შეგვაქვს მუნიციპალიტეტში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების საქმეში.

ოქტომბერში დაიწყება რთველი. ჩვენც გულმოდგინედ ვემზადებით ამ საპასუხისმგებლო კამპანიისათვის. წესრიგში მოგვყავს ყურძნის გადამამუშავებელი აგრეგატები, შენობა და მისი შემოგარენი.

როგორც გასულ წლებში, წელსაც სხვადასხვა ჯიშის ყურძენს შევისყიდით ფერმერებისაგან. პირველ რიგში ციცქა-ცოლიკაურს რა თქმა უნდა. ვეცდებით ისინი კმაყოფილნი დარჩნენ, როგორც შესასყიდი ფასით ისე მომსახურებით.

ი. ერაძე

დარეჯან (დალი) სარალიძე საქართველოს დამსახურებული მასწავლებელია!

5 ოქტომბერს საქართველოში მასწავლებლის დღე აღინიშნება. წლევანდელი ეს დღე განსაკუთრებულად სასიხარულო იყო თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის დარეჯან (დალი) სარალიძისათვის, რომელსაც საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა...

ვულოცავთ!

• • •

ქალბატონ დალის დაბადების 70 წლისთავი მიმდინარე წლის თებერვალში მიულოცეს სკოლის დირექციამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა, ახლობლებმა და უამრავმა ნაცნობ-მეგობარმა.

„თერჯოლაში" დაიბეჭდა სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ერთობლივი სტატია, რომელმაც ჩვენს მკითხველებს გააცნო დალი სარალიძის თითქმის 50-წლიანი პედაგოგიური და სხვადასხვა სფეროში მრავალმხრივ საინტერესო და საპასუხისმგებლო პოზიციაზე მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მოვლენები. ყველა რანგში მისაბაძი და სანიმუშო ქალბატონის განვლილი ცხოვრების მახასიათებლები:

№1 საჯარო სკოლის დირექციისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ დარეჯან (დალი) სარალიძის მაღალ ჯილდოზე წარდგენას მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობამ.

დარეჯან (დალი) სარალიძის დაჯილდოების გამო საგანმანათლებლო რესურსცენტრის გამოქვეყნებულ მილოცვაში ნათქვამია:

„გილოცავთ!

ქალბატონი დარეჯანი საქართველოს დამსახურებული მასწავლებელია!

დარეჯან სარალიძის საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობა ყოველთვის უკავშირდება კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს გაჯანსაღება-პროგრესირებას.

წლების განმავლობაში მაღალი თანამდებობა მისთვის მხოლოდ სხვათა მსახურებისა და სოციუმის ინტერესთა დაცვა-აღსრულება იყო. სწორედ რომ მისი ძალისხმევით, 1983 წელს თერჯოლის რაიონში დაარსდა N3 ბაგა-ბაღი. აქვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის სახელს უკავშირდება სსიპ ქალაქ თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და პედაგოგთა პროფესიული ზრდა, რაც სკოლის ისტორიაში ფასდაუდებელი მონაპოვარია.

ქალბატონი დარეჯანის დირექტორობის პერიოდში გახდა შესაძლებელი თერჯოლის №1 საჯარო სკოლას ბრენდირებით ღირსეული ადგილი დაეკავებინა ხუთვარსკვლავიან საუკეთესო სკოლათა შორის რეგიონში.

ლიდერობა, ინოვატორობა, შემოქმედებითი ხედვა და მისი რეალიზება ქალბატონი დარეჯანის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ინდიკატორია.

ყველაზე მთავარი პიროვნული თუ პროფესიული მისწრაფება, მის საქმიანობაში კოლეგების სტიმულირება, მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირება, ფორმალური და არაფორმალური განათლების მაღალ დონეზე აყვანა გახლავთ. ეს კი, მისი კოლეგებისა და მოსწავლეების სასკოლო, სარაიონო, რესპუბლიკურ პროექტებსა თუ კონკურსებში მიღწეული შედეგებით დასტურდება, რომელთა შორისაა:

—„ირმის ნახტომის" პროექტში გამარჯვება - ტექნოლოგიებით სკოლის აღჭურვა.

—უმაღლესი ტექნოლოგიური ინვენტარით „მომავლის კლასის"' მოწყობა და სწავლა-სწავლებაში მისი ეფექტურად გამოყენება.

—სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტის „რა? სად? როდის?" სასკოლო, სარაიონო სიერცეში ინიცირება და განხორციელება.

—იაკობ გოგებაშვილის სახელობის საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ ინტეგრირებული გაკვეთილების კონკურსში გამარჯვება და გოგებაშვილის სახელობის მედლის მოპოვება.

—ინოვატორულ სარაიონო-სამოდელო გაკვეთილების სერიის ორგანიზება და საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის ფართო საზოგადოებისთვის გაზიარება.

ქალბატონი დარეჯანის მოღვაწეობა დღესაც ძველებურად წარმატებულია. განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კვალდაკვალ იგი კვლავ გვევლინება რეფორმატორად.

ამიტომაა, რომ ქალბატონი დარეჯანის დამსახურება საზოგადოებისაგან არაერთხელ იქნა აღიარებული. მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ღირსების მედალი და ახალი თაობისაგან დღესაც იმსახურებს სათანადო პატივსა და აღიარებას.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი ულოცავს ქალბატონ დარეჯანს, თერჯოლის №1 საჯარო სკოლას, მთელ რაიონს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს!"

მზია ცქიფურიშვილი

პროფესორ კობა ხარაძის გახსენება

ეს სამწუხარო ამბავი ჩვენამდე დაგვიანებით მოვიდა.

მარტოსულ ცხოვრებას ეწეოდა... მაგრამ ვრცელი იყო მისი სამოქმედო-სამოღვაწეო არეალი.

არა მხოლოდ ჩვენი გაზეთის მკითხველი—სამეცნიერო პედაგოგიური საზოგადოება და მრავალრიცხოვანი სტუდენტი-ახალგაზრდობა იცნობდა, როგორც ფართო პროფილის მკვლევარს, პედაგოგს, ჟურნალისტს.

სტატისტიკოსებს არა გვგონია ზუსტად ჰქონდეთ დათვლილი მისი ფუნდამენტური შრომები, რომლებშიც დიდი რუდუნებით არის წარმოდგენილი სულ სხვადასხვა პროფილის მეცნიერული და მეთუარული ნამოღვაწარი.

კობა ხარაძე 1939 წლის 17 ოქტომბერს დაიბადა სოფელ ჩხარში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ მუშაობდა ჩხარის კრამიტის ქარხანაში. მოიხადა სამწლიანი სამხედრო-სავალდებულო სამსახური.

1962 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ნალკასა და თეთრწყაროს რაიონებში.

1969 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში.

ნიჭიერმა ახალგაზრდა მეცნიერმა ვადაზე ადრე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ინსტიტუტშივე განაგრძო მუშაობა ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1993 წელს კი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

მნიშვნელოვანია მეცნიერის ნაშრომები: „გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში"; „XII-XV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურები". ასევე აღსანიშნავია მონოგრაფიები: „ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი" და სხვ.

კობა ხარაძის კვლევის ძირითად ობიექტს ძველი ტოპონიმების კვლევა შეადგენდა. მის მიერ დადგენილ იქნა თითქმის ყველა ნასოფლარის თუ სახელგადარქმეული სოფლის ნამდვილი სახელწოდება, რაც ვახუშტი ბაგრატიონის რუკების, წერილობითი წყაროების, მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში არსებული ხელნაწერებისა და რუკების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე განხორციელდა.

ბატონმა კობამ თავი მოუყარა

უამრავ ტოპონიმს და მოამზადა პირველი წიგნი—„საქართველოს ძველი ტოპონიმები".

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვახუშტი ბაგრატიონის მემკვიდრეობის კვლევა, რასაც კობა ხარაძემ მთელი მისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი შეალია.

სწავლულმა მრავალი საინტერესო მასალა მოიპოვა მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის და თბილისის არქივებსა და ხელნაწერთა ცენტრებში, როგორც ბიოგრაფიულ საკითხებზე, ისე მისი ნაშრომების თითოეულ დეტალზე.

ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლისთავთან დაკავშირებით, პირველად გამოცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასი"; აგრეთვე „საქართველოს გეოგრაფია".

კობა ხარაძემ დიდი ამაგი დასდო „საქართველოს ნითელი წიგნის" არაორგანული ბუნების ძეგლების განყოფილების შედგენასა და გამოცემას.

მეცნიერმა ტურისტულ-საექსკურსიო საქმეს მიუძღვნა ცალკე წიგნად გამოცემული ტურისტულ-საექსკურსიო მეგზურები: „ჯავახეთი", „საშვილდე", „ხერთვისიდან ვარძიამდე" და მრავალი სხვა.

ნაყოფიერი იყო მეცნიერისა და პედაგოგის თანამშრომლობა უმაღლეს სასწავლებლებში, სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს გორის, ქუთაისისა და სოხუმის უმაღლეს სასწავლებლებში.

გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავზე კობა ხარაძემ შეადგინა წიგნი—„ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, რომელშიც აღწერილია საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი კობას ჟურნალისტური მოღვაწეობა. მას სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში, მათ შორის გაზეთ „თერჯოლაში", გამოქვეყნებული აქვს ოთხასზე მეტი წერილი—სტატია აქტუალურ საკითხებზე.

კობა ხარაძე 2005 წელს—მეცნიერებაში დიდი წვლილისათვის მოხსენიებული არის ამერიკის ენციკლოპედიაში—„ვინ ვინ არის", რომელსაც გამოსცემს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტი. მასვე მიანიჭეს 2005 წლის მამაკაცის ჯილდო და დაასახელეს მაძიებლის მრჩეველთა საბჭოს წევრად.

მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებულია ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მედლით; სულხა-საბა ორბელიანი ევროპაში მოგზაურობის 300 წლისთავთან დაკავშირებით—სულხან-საბა ორბელიანის საიუბილეო მედლით, ასევე მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მედალი.

ბატონი კობა ხშირად სტუმრობდა მშობლიურ რაიონს, აუცილებლად შემოგვივლიდა გაზეთის რედაქციაში. კეთილად მოგვიკითხავდა. ვისაუბრებდით სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. მასპინძლობას შევთავაზებდით.. იუარებდა... ახლა ბათუმში მიმეჩქარებაო, მერე იქიდან ქუდაში უნდა ავიდეო, მელოდებიანო... მორიდებული კაცი

იყო. ჩუმი... მუდამ საქმეში ჩაფლული. გვჩუქნიდა ახლად გამოცემულ წიგნებს, გვიამბობდა თავის სამომავლო გეგმებზე.

წარმოდგენილი სტრიქონის ავტორი ბედნიერად თვლის თავს, რომ ბატონმა კობამ მას შესთავაზა თავისი სამაგიდო წიგნის („განათლების წარმატებული კერა") რედაქტორობა.

ვინც პროფესორ კობა ხარაძისა და მისი თანაავტორის პედაგოგ ინგა ბაქრაძის წიგნს (ვიტყოდი—მრავალისმეტყველ მეცნიერულ ნაშრომს) ყურადღებით წაიკითხავს დაგვეთანხმება, რომ ქართული ბიბლიოთეკას ერთი მნიშვნელოვანი, ენციკლოპედიური ხასიათის ნაღვაწი შეემატა.

დიახ, ეს არ გახლავთ მხოლოდ სკოლაზე მონათხრობი ქრონოლოგია, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია. წიგნში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით არის გადმოცემული ასევე, ოქონას გორას შეფენილი ანტიკური სამკაულის—ეგზოტიკური ჩხარის, როგორც ცნობილი აბრეშუმის გზის განშტოებაზე არსებული სავაჭრო და კულტურული ცენტრის ცხოვრებაც.

ბატონმა კობამ სხვა არაერთი საინტერესო წიგნიც მიუძღვნა თავის მშობლიურ ჩხარს, მარტო „ჩხარის ენციკლოპედია"—რად ღირს. მას ხომ ანალოგი არ გააჩნია.

მაშინ, ნაშრომის რედაქტორის სვეტში ბატონ კობას ასე მიემართავდი: „მაინც, როგორ ასწრებთ ამდენს. მთელი საქართველო, მისი გზები და ბილიკები, აღმართ-დაღმართი, მდინარეები, ტბები, ბუნებრივი თუ ისტორიული ძეგლები, აქეთ მეცნიერულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. როგორ იტევს თქვენი მძიმე პორტფელი ამდენ ქაღალდებს და ფიქრებს?

დაკვირვებული თვალით ზომავთ და წონით—სულ იჩქარით, გაწერილი გაქვთ ყოველი დღის ყოველი საათი და წუთი!

დრო დაგიმადლით ბატონო კობა!

დროა თქვენი ღვაწლის შემფასებელი.

დრო უტყუარია. ყველაფერს ინიშნავს!

თქვენ საყოველთაო მადლიერებას იმსახურებთ მამულიშვილური მოღვაწეობისათვის.

თქვენ მოუნოდებთ ახალგაზრდობას (და არა მხოლოდ მათ): გადაფურცლეთ ეს წიგნი, აქ თქვენი სამშობლოა, განიცადეთ—„სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი".

დღეს ბატონი კობა ხარაძე პროფესორი, მკვლევარი, პედაგოგი, ბუნების მესაიდუმლე აღარ არის. მუდმივ ფიქრსა და ძიებაში შემოალამდა. ჩუმად, უხმაუროდ წავიდა...

გისამძიმრებთ.

ნუგზარ ბამყრელიძე

რუსუდან ბარათაშვილი

გარდაცვალება... რა მტკივნეულია ეს სიტყვა, როდესაც სიკეთისათვის, სიყვარულისა და სათნოებისათვის გაჩენილ ადამიანზეა ნათქვამი.

რუსუდან ბარათაშვილის გარდაცვალება თავზარდამცემი იყო ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის. იგი წლების განმავლობაში ემსახურებოდა ახალთერჯოლის საჯარო სკოლაში ახალგაზრდა თაობის სწავლებასა და აღზრდას. იყო უაღრესად ნიჭიერი, კომპეტენტური ადამიანი.

ქალბატონი რუსუდანის სახით ყოველთვის გვყავდა ერთგული მეგობარი, მხიარული თანამოსაუბრე, ბრძენი მრჩეველი და დამრიგებელი. პატარებისათვის მეორე დედა და მოსიყვარულე ადამიანი.

იგი იყო სანიმუშო მეუღლე, დედა და ბებია. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული!

ახალთერჯოლის საჯარო სკოლა

კროსვორდი

უხვრთველიანობა ჩემო თერჯოლავ!



1. ყურძნის ჯიში, რომლითაც ცნობილია თერჯოლის მუნიციპალიტეტი. 2. ხის ჭურჭელი, რომელშიც წურავენ ყურძენს. 3. ყურძნის ნანური, მათრობელი სითხე. 4. ქაქიდან გამოხდილი ალკოჰოლიანი სასმელი. 5. ოქტომბრის თვის ქართული ხალხური სახელწოდება. 6. ვაზით დაფარული ადგილი. 7. ვენახებში ყურძნის კრეფა. 8. ყურძნის ტკბილისა და სამინდის (ან ხორბლის) ფქვილისაგან დულილით გაკეთებული ფაფისებური საჭმელი. 9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში გავრცელებული ყურძნის ჯიში. 10. ბლის კანისაგან დამზადებული ქვევრის სარეცხი. 11. სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში. 12. ქვევრიდან ღვინის ამოსალები გრძელტარიანი ჭურჭელი. 13. ყურძნის წვენი—შესანახად მოდულებული. 14. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ღვინის საწარმო-გაერთიანება.15. შემჭკნარი ყურძენი. 16. ფილამუშში ამოვლებული ნიგვზის ან ჩამიჩის ასხმული. 17. სახნავ-სათესი მინა. 18. გუთნისდედის სიმღერა. 19. იგივე ფილამუში. 20. სუფრაზე ღვინის მიმწოდებელი. 21. ქართული ღვინის სახეობა. 22. იმერეთის გული. 23. ს. ეწრის მინის საკარგული. 24. ტკბილი და სურნელოვანი ალკოჰოლიანი სასმელი. 25. დიდი მოსავალი. 26. მცოცავეროვანი მცენარე, რომელიც ყურძენს ისხამს.

შეადგინა ნ. ბამყრელიძემ

წინა ნომერში გამოქვეყნებული „ცოტა გაგერთოთ" პასუხები:
ეზოში აკი ძაღლია; ბაზარი; სახსარი; როცა გულზე ცეცხლი გიკიდია; წყალში იყრება; ვისაც ეცოდება (ებრალება)

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები სამძიმარს უცხადებენ ამავე სოფელში მერის წარმომადგენლის ასისტენტს, შორენა გელენეტაძეს ბაბუის, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის

ნიკოლოზ გელენეტაძის

გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან!

ნანა ზარნაძე—კერძო სკოლა „მზეკაბანი“, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-IV კლ.) ინტეგრირებული პროგრამა, 70%-იანი დაფინანსება.

ყოველნლიურად, გაზეთი „თერჯოლა“, რუბრიკით „ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან“—საზოგადოებას აცნობს კერძო და საჯარო სკოლების იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც 100%-იანი გრანტით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სასურველ ფაკულტეტებზე. ამჯერად გაზეთის ამ გვერდს ვუთმობთ 70%-იანი გრანტის მფლობელებს.

შესაძლოა, გაზეთში გამოქვეყნებული გრანტის მფლობელთა ჩვენ მიერ მოპოვებულია სია, არ იყოს ზუსტი, შესაძლოა ვინმე გამოგვრჩა, ვთხოვთ სკოლების დირექტორებს, გვაცნობონ თუ შყავთ გრანტოსნები, რომლებიც ამ გვერდში ვერ მოხვდნენ, ჩვენ კვლავ სიამოვნებით დავუთმობთ მათ ჩვენ გაზეთს.

აი ისინი, სამოცდაათპროცენტიანი გრანტოსნები:

მარიამ ბუსკიტაძე—თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგლისური, 70%-იანი დაფინანსება.

მარიამ გოგიაშვილი—ჭოგნარის საჯარო სკოლა, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიცინა, 70%-იანი დაფინანსება.

ვაჟა მემანიშვილი—თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი), 70%-იანი დაფინანსება.

ლუკა გუცხრიკიძე—ალისუბნის №2 საჯარო სკოლა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), 70%-იანი დაფინანსება.

მარიამ ძარაძული—ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, 70%-იანი დაფინანსება.

ცხრა პირველკლასელით...

ბოლო პერიოდის უჩვეულო ორწლიანი სასწავლო წლის დასაწყისი საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის საბედნიეროდ, სწავლის ჩვეულმა, ტრადიციულმა რეჟიმმა ჩაანაცვლა და ისე როგორც სრულიად საქართველოში, თერჯოლის სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო პროცესი 15 სექტემბერს საკლასო ოთახებში განახლდა. იყო საზეიმოდ ლამაზად მორთული სკოლების შესასვლელები, საკლასო ოთახები, მონატრებული შეხვედრები, სხვადასხვა სახის ფერადი, დასამახსოვრებელი ღონისძიებები.

ასე იყო ჩხარის №2 საჯარო სკოლაშიც (დირექტორი ნუკრი კობახიძე) სკოლის ახალ შენობაში, რომელიც გასულ წელს შეეიდა ექსპლოატაციაში ახალი სასწავლო წელი სექტემბერში ტრადიციულად წელს პირველად დაიწყო. სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, სკოლასთან დაკავშირებული ადამიანები იმედიანად არიან, რომ ეს სასწავლო წელი და ყველა შემდეგიც იქნება ნაყოფიერი, წარმატებული, უსაფრთხო და თითოეულ აღსაზრდელზე გათვლილი, რომ მათ ღირსეულ მომავალს მყარ საფუძვლად დაედოს სწორედ აქ, ამ სკოლის კედლებში მიღებული ცოდნა...

განსაკუთრებული დღე პირველკლასელებს და მათ მშობლებს ჰქონდათ და ეს ბუნებრივია. იყო სიხარული, ღელვაც და ახალი გარემოს ადაპტირების მომენტიც. თუმცა, პატარებს, ეს ყველაფერი გაუადვილოს დირექციამ, პედაგოგმა შორენა ტაბატაძემ, 1 კლასის დამრიგებელმა ნანა ნიკოლაძემ და სხვებმა განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით გამთბარი შეხვედრით.

ცხრა პირველკლასელი ლამაზად მორთულ საკლასო ოთახში პირველად მიუსხდა სკოლის მერხს. დაფაზე დიდი ლამაზი ქართული ასოებით წერია: „თქვენს მოსვლას კედლებიც ღიმილით ხვდებიან!“

დიახ, იყო ღიმილიც, მილოცვებიც და იმედიც...

„დედა ენა“ როდონაიას ავტორობით და იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ უნინამძღვრებს ამ პატარებს სწავლა-განათლებისა და აღზრდის გრძელ და ფართო გზაზე ცოდნის ტაძრისაკენ...

უფროსების დიდი სურვილია ეს გოგო-ბიჭები დღეს სკოლის მერხს რომ მიუსხდნენ: ბარბარე გურული, გიორგი გურული, გაბრიელ ზარნაძე, დემეტრე თორთლაძე, ლილე კირკიტაძე, ივანე მაკასარაშვილი, ეთო სირბილაძე, მარიამ ფოცხვერაშვილი და ნიკოლოზ ქაშაკაშვილი და სხვა მრავალი მათი თანატოლი, რომლებმაც ახალ სამყაროში შეაბიჯეს და ახლა შეუცნობელის შეცნობის პროცესში არიან, იყვნენ ბედნიერი და ლაღები. მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყოს მათთვის სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებაში გატარებული თითოეული წუთი, რომ შემდეგ საუკეთესო სწავლა-განათლებით და ღირსეული მოქალაქეობით მყარად შეეხიდონ ქვეყნის განახლებაალმასვლას...

უფალი ფარავდეს სრულიად საქართველოს მომავალს.

მზია ცძიფურიშვილი

სკოლისაკენ მივიჩქარით

ვუძღვნი ყველა პირველკლასელს

სკოლისაკენ მივიჩქარით
გაბრწყინებული თვალებით,
პირველად უნდა შევაღოთ
ცოდნის ტაძარში კარები.
ჩვენი პირველკლასელობით
გავახაროთ უნდა ყველა,
სკოლაში კი გველოდება
იაკობის „დედა ენა“.
დედაენას რომ გადავშლით
გაგვიღიმებს ნაზი ია,
მოწინებით გვეტყვის მე ხომ,
თქვენი მეგობარი მქვია.
ლამაზად რომ შევაბიჯებთ
ცოდნის პირველ საფეხურზე,
არასოდეს გადავუხვევთ
ბრძენ წინაპართ
ნაფეხურებს.
კარგი სწავლით კარგი
გარჯით
უნდა გავხდეთ ბედნიერნი,
ჩვენი კარგი ქართველობით
მალე იამაყებს ერი.

ნიკოლოზ გავაშელაშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ე. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872

ლაშა გოგიაშვილი

2022 წლის 8 ოქტომბერს, ტრაგიკული შემთხვევის შედეგად, 42 წლის ასაკში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი გარდაიცვალა.

ლაშა გოგიაშვილის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ უკიდურესად დაამწუხრა არა მარტო მისი ოჯახი — მეუღლე, სამი შვილი, მამა, დედამიშვილები, მამიდები, უახლოესი ნათესავები, მეგობრები, თერჯოლელები, არამედ ყველა, ვისაც მის გამორჩეულ ადამიანურ თვისებებზე სმენოდა, ვინც კარგად ხედავდა თუ როგორი თავდადებით იღწვოდა იგი თერჯოლისათვის, რაც დაეტყო კიდეც მუნიციპალიტეტს, მის ინფრასტრუქტურას, თერჯოლელთა ყოფა-ცხოვრებას...

ლაშა გოგიაშვილი დაიბადა 1979 წლის 3 ნოემბერს. 2004-2009 წლებში სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.

2002-2010 წლებში მუშაობდა სხვადასხვა კერძო ორგანიზაციაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2012-2017 წლებში იყო სსიპ „საქართველოს ფოლკლორის ცენტრის“ სამეურნეო დარგის მთავარი მენეჯერი. 2017 წლიდან 2020 წლის 31 მარტამდე იკავებდა ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორის მოადგილის თანამდებობას.

2020 წლის აპრილიდან იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ არჩეული მერი.

„ქართული ოცნების“ წევრი, ლაშა გოგიაშვილი, თერჯოლის მერის თანამდებობაზე 2021 წლის ადგილბრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მეორედ აირჩიეს. მანამდე პირველი ვადით ამ პოსტზე მას მხოლოდ 1 წელი მოუწია მუშაობა.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ თერჯოლის მერის, ბატონი ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო.

მისი სახით ჩვენმა გუნდმა, თერჯოლამ და მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა ახალგაზრდა, თავისი ქვეყნის პატრიოტი სახელმწიფო მოღვაწე.

გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებ ბატონი ლაშას ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და თანამებრძოლებს.

ირაკლი ღარიბაშვილი,
პრემიერ-მინისტრი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს და ყველას.

ის დააკლდება თითოეულ ჩვენგანს, გუნდს, თერჯოლას და რეგიონს.

ბატონი ლაშა, გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით. მისი ინიციატივით მუნიციპალიტეტს ბევრი წარმატებული პროექტი დარჩება.

ძალიან ვწუხვარ, რომ დავკარგეთ კარგი მეგობარი, ღირსეული და საუკეთესო ადამიანი!

ზვიად შალამბერიძე,
იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოხატავს მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო.

ძალიან სამწუხაროა, როდესაც ასეთი ადამიანები ნაადრევად მიდიან ამ ქვეყნიდან, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და გულშემატკივრებს, რომელთაც ასე ძალიან უყვარდათ.

ლაშა გოგიაშვილი 2020 წლიდან მუნიციპალულიტეტის მერად იქნა არჩეული. მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო რაიონისთვის, ქვეყნისთვის.

ის იყო საქმისადმი სიყვარულით, ერთგულებით, პროფესიონალიზმით, მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული ადამიანი, რომელსაც ქალაქის წარმატებისთვის თავი არასოდეს დაუზოგავს.ჰქონდა საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ლაშა გოგიაშვილი დიდი დანაკლისია მთელი მუნიცილატეტისთვის და რეგიონისთვის.თითოეული ჩვენგანი ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს და გაიხსენებს როგორც წარმატებულ, ღირსეულ ადამიანს და მოქალაქეს.

ძალიან დიდი ტკივილი და ტრაგედიაა შენი დაკარგვა ყველა შენი მეგობრისთვის! ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული!

ირაკლი კობახიძე

სანამ ცოცხალი ვარ, რასაც შევძლებ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ცოტათი მაინც დარჩე ჩვენთან...

ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი, თუ რამის გადატანა ასე გამიჭირდებოდა.

მადლობა სამაგალითო ძმობისთვის!!!შეხვედრამდე…

მამუკა მდინარაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი

ვწუხვარ იმ დიდი ტრაგედიით რაც თერჯოლაში,თერჯოლის მერის,ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალებით მოხდა.

ლაშა იყო ახალგაზრდა ენერგიული,კარგი ოჯახის შვილი. განათლებული ადამიანი.

ამ დიდ ტრაგედიას ვუთანაგრძნობ ლაშას ოჯახს მათ ახლობლებს.

ბეჟან წაქაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო.

ძალიან ვწუხვართ, რომ დავკარგეთ კარგი მეგობარი, ღირსეული და გამორჩეული ადამიანი. ვუსამძიმრებთ ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს. ბატონი ლაშა გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით, მაღალი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით.

ლაშა გოგიაშვილი დიდი დანაკლისია მთელი მუნიციპალიტეტისთვის და რეგიონისთვის. თითოეული ჩვენგანი ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს და გაიხსენებს მას როგორც წარმატებულ, ღირსეულ ადამიანს და მოქალაქეს.

გიორგი ბარათაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ შესანიშნავი პიროვნების, თერჯოლის თავკაცის ბატონი ლაშა გოგიაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

თანავუგრძნობ ოჯახს, ახლობლებს და მთლიანად თერჯოლელებს.

ზურაბ რობაქიძე, აკადემიკოსი

გაზეთი „თერჯოლა“ № 20-21,
21 ოქტომბერი, 2022 წელი

სპეციალური ჩანართი

8-13 ოქტომბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო გამართულ სამოქალაქო პანაშვიდებზე, მისი თერჯოლიდან გადასვენების და თბილისში დაკრძალვის ცერემონიალებზე, ათასობით თერჯოლელმა, ნაცნობ-მეგობარმა და ახლობელმა ადამიანმა დიდი გულისტკივილი გამოხატა და ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნო გადაცვლილის ოჯახს.

ლაშა გოგიაშვილი დაკრძალეს 13 ოქტომბერს ქალაქ თბილისში, დიღმის სასაფლაოზე.

ნათელი ფარავდეს მის სულს!

„თერჯოლის მერი უნდა იყოს ყველას მერი და არა კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი“

☞2 **ლაშა გოგიაშვილი**

ღირსეული ადამიანი, სამაგალითო მეგობარი და ხელმძღვანელი... ☞3, 4

ლაშა გოგიაშვილი: „თერჯოლის მერი უნდა იყოს ყველას მერი და არა კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი“

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ უკიდურესად მძიმედ დაამწუხრა არა მარტო მისი ოჯახი—მეუღლე, სამი შვილი, მამა, დედმამიშვილები, უახლოესი ნათესავები, მეგობრები, თერჯოლელები, არამედ ყველა, ვისაც მის გამორჩეულ ადამიანურ თვისებებზე სმენოდა, ვინც კარგად ხედავდა თუ როგორი თავდადებით იღწვოდა იგი თერჯოლისათვის, რაც დაეტყო კიდეც მუნიციპალიტეტს, მის ინფრასტრუქტურას, თერჯოლელთა ყოფა-ცხოვრებას...

სამწუხაროდ, უდროოდ გარდაცვალების გამო მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა წარმატებულმა მერმა ბევრი კარგი ჩანაფიქრის შესრულება ვეღარ შეძლო...

ნათელი ფარავდეს მის სულს!

ვიმუშაოთ გუნდურად, შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვარზე, გავითავისოთ პრობლემები, ყველამ აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, ვიყოთ ხალხთან ერთად...

ლაშა გოგიაშვილი

კარგად გვახსოვს პირველი ინტერვიუ ბატონ ლაშა გოგიაშვილთან, რომელიც ორ წელზე მეტი ხნის წინ — 2020 წლის აგვისტოში შედგა.

სათაურად გამოტანილი ეს ფრაზა, აწგარდაცვლილმა მერმა, საკმაოდ ვრცელი და მომცველი იმ ინტერვიუს დროს წარმოთქვა. ინტერვიუც ასეც დავასათაურეთ. მერთან საუბარი იმდენად საინტერესო და ტევადი იყო, რომ მისი ერთ საგაზეთო მასალად და შეკუმშული ფორმით ერთ წერილად შეკვრის ნაცვლად, გადაწყვიტეთ საუბრის ჩანაწერი ორ საგაზეთო მასალად „თერჯოლის“ ორ ნომერზე გადაგვენაწილებინა.

ძალზე ემოციური საუბარი ჰქონდა. მის ყოველ წინადადებაში კარგად იკითხებოდა ის დიდი სიყვარული, რაც თერჯოლისა და თერჯოლელების მიმართ მასში იყო დაბუდებული...

კითხვაზე როგორი დატოვა თერჯოლა მან და როგორი დახვდა იგი მას, აწგარდაცვლილმა მერმა ასე გვიპასუხა:

„15 წლის ვიყავი — მეცხრე კლასში, როცა სასწავლებლად თბილისში წავედი. მე, როგორც ამ ასაკის ადამიანს ჩვევია, ძირითადად ჩემს ტოლებთან, თითქმის ყველა თერჯოლელთან ვმეგობრობდი. ამჟამად სხვა რეალობაში მოვხვდი, იმ გაგებით, რომ ახლა რაიონის მმართველის ფუნქციით დავბრუნდი და თანაც დიდი გასაჭირის დროს—კორონავირუსით ავჟამიანობისას, მსოფლიო პანდემიის პერიოდში.

თავისთავად სხვანაირად შევხედე თერჯოლას, ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი, ბევრიც გვარდება ნელ-ნელა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოტივირებული ვართ, რაც შეიძლება ხალხთან ვიყოთ ახლოს, მეტი გავიგოთ თითოეული ადამიანისაგან.

რა თქმა უნდა, გზაც საჭიროა, წყალიც, ინფრასტრუქტურული პროექტებიც, მაგრამ უპირველესად მაინც იმ კონკრეტული ადამიანების პრობლემებია გადასაწყვეტი, ოჯახებში რომ უჭირთ. ამ მხრივ დახმარებები გავზარდეთ მაქსიმალურად, შეჭირვებული ვინც არის შესაბამისი სტატუსით, მათთან მივედით და მივუტანეთ პროდუქტები, რაც შეგვეძლო იმ შესაძლებლობების მაქსიმუმის ფარგლებში“.

თერჯოლის მერი კარგად ხედავდა პრობლემებს, იყო გაბედული, როცა მათი გადასაჭრელი ნაბიჯის გადასადგმელად ემზადებოდა. შედეგებმაც არ დააყოვნა. მისი მერობის, სულ რაღაც ორ წელიწადში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მანამდე არნახული რაოდენობის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

„პრობლემებს რაც შეეხება—გვითხრა მან—ვფიქრობ, საქართველოში კი არა, არსად არ მოიძებნება მუნიციპალიტეტი, რომ იქ პრობლემები არ იყოს. თუ იმაზე ვსაუბრობთ, რა დავტოვე და რა დამხვდა, მაშინ გეტყვით, როცა მე წავედი ბევრად სხვა პირობები იყო. ელემენტარულად, როგორც უკვე ვთქვი, შუქი არ გვქონდა, ბევრჯერ კინოფილმის ყურებაც და სხვა სახის გართობაც ამის გამო შუა გზაზე შეგვიწყვეტია და სახლში წავსულვართ... თუ ამ კუთხით წავალთ, ბევრი რამ გამოსწორებულია. რა თქმა უნდა, მარტო შუქს არ ვგულისხმობ—კომუნიკაციები, თანამედროვე ტექნოლოგიები... ახლა ახალგაზრდებს თვითრეალიზაციის ბევრად მეტი საშუალება აქვთ...

მოტივაცია გვაქვს და დღე და ღამე მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ, რომ მოვიფიქროთ რაღაც ახალი... შაბათ-კვირა ჩვენ არ ვიცით, ვსაუბრობთ-ვფიქრობთ, გავაკეთოთ ისეთი რამ, თერჯოლას და ხალხს რომ გამოადგეს...

ბატონი ლაშა განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ოჯახურ ტრადიციებს, ოჯახის წევრებს, უახლოეს ნათესავებს. სამომავლო გეგმებიც გაგვიმხილა—ბავშვები თერჯოლაში მინდა გადმოვიყვანო სასწავლებლადო... მან ეს დანაპირებიც შეასრულა...

ბატონი ლაშა ბოლომდე ერთგული დარჩა მის მიერ თერჯოლაში მოსვლისთანავე გაჟღერებული დევიზის, რომ „თერჯოლის მერი უნდა იყოს ყველას მერი და არა კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი“.

კითხვაზე თუ როგორი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის მერი, მითუმეტეს როცა იგი ადგილობრივია და მეტად რთულ, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ გარემოში უწევს მუშაობა, მან ასე განაცხადა:

„როცა ახალი თანამდებობა შემომთავაზეს, გარკვეული განსჯის შემდეგ დავთანხმდი, თუმცა გადაწყვეტილება იოლად არ მიმიღია. რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, როგორ შემხვდებოდა ჩემი თერჯოლა და როგორ შევხვდებოდი მე მას ხელმძღვანელის რანგში, შევძლებ კი მე სრულად დავიხარჯო ხალხის კეთილდღეობისათვის, ქალაქის იერსახის კიდევ უფრო გალამაზება-გამშვენიერებისთვის? მაგრამ რაკი გადაწყვეტილება მივიღე, ვეცდები იმედები არ გავუცრუო ჩემს თერჯოლელებს. მე კარგად ვხედავ, რომ ადამიანებს აწუხებთ როცა ოპერატიულად ვერ წყდება ელემენტარული პრობლემა. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ბიუროკრატიული მექანიზმია. ამიტომ პრობლემის გადასაწყვეტად ვმოქმედებთ პირდაპირ, ოპერატიულ რეჟიმში...

ჩემთვის ორმაგად და სამმაგად სასიამოვნო იყო, რომ თერჯოლაში ჩემს წარდგენას თერჯოლელების კარგი რეაქცია მოჰყვა. ჩემი თაობის თერჯოლაში უბანი არ იყო ისეთი, მეგობარი არ მყოლოდა. ახლაც ასეა — ჩემი თაობა და პლიუს-მინუს ათი წელი ახლაც ჩემი სამეგობრო წრეა... არაფერს ვამბობ თბილისელ თერჯოლელებზე...

მე მწამს, რომ თერჯოლის მერი უნდა იყოს ყველას მერი და არა კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი. მაქსიმალურად ვცდილობ ამას, მაგრამ კაბინეტში ჯდომაც მიწევს და ეს უმეტესად მაშინ, როცა ადამიანებს ჩემთან შეხვედრა სწორედ ჩემს სამუშაო ოთახში უნდათ, როგორც ჩანს, შეხვედრის ასეთი ფორმა, მათთვის პირადულად მნიშვნელოვანია და ეს ასევე მნიშვნელოვანია ჩემთვისაც...

თავისთავად დიდი პასუხისმგებლობაა მშობლიურ რაიონში მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოსვლა. ფაქტია, რომ ბევრი გეყოლება კმაყოფილიც, განაწყენებულიც, მაგრამ უნდა ეცადო, რომ კმაყოფილი ბევრად მეტი გყავდეს. სამართლიანი უნდა იყო, არ იყო მიკერძოებული.

მესმის, რომ ასეთი მერობა მეტად რთული და მძიმეა, მაგრამ სწორედ ჩვენი ვალია გადავდგათ ისეთი ნაბიჯები და მოვიფიქროთ ისეთი პროექტები, რომლებიც ყველა განსხვავებული აზრის ადამიანში იპოვის თანადგომას, დაჩრდილავს პოზიციათა განსხვავებას და ყველასათვის საერთო საქმედ იქცევა. ასეთი საქმეებისათვის კი ბევრი საერთო მიზნის შესასრულებლად შეიძლება კომპრომისი, ყველა მხარე დაუშვებს რაღაც დათმობებს, ეს კი ურთიერთობებში სიხისტესაც შეასუსტებს და წარმატებული შედეგების მიღწევის კარგ შანსებსაც მოგვცემს.

ყოველ საღამოს ფეხით დავდივარ თერჯოლის ქუჩებში მოადგილესთან, ჩვენს თანამშრომლებთან ერთად, თუ აქ არიან შვილებსაც თან გავიყოლებ ხოლმე. ვხვდებით ხალხს, ჩავუჯდებით, ვსაუბრობთ თითოეულის გასაჭირზე, საერთო სატკივარზე“.

ასეთი იყო ახალგაზრდა მერის ოცნებები, ფიქრები. მან კი თავისი მოღვაწეობის პერიოდში თანაგუნდელებთან ერთად ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე ამას თავდაპირველად გეგმავდა. იგი უყვარდათ თერჯოლელებს, აფასებდნენ და პატივს სცემდნენ...

სწორედ ამიტომაც გააყოლეს მას გულწრფელი ცრემლი და დიდი გულისტკივილი სამუდამო განსასვენებელში...

გაზეთი „თერჯოლა“

კორონავირუსის ჟამიანობის დროს მუნიციპალიტეტის მერი თანაგუნდელებთან ერთად პირადად აწვდიდა შეჭირვებულ ადამიანებს სურსათ-სანოვაგეს, მედიკამენტებს.

ადამიანებთან სისტემატური შეხვედრები მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა მერის წესად დადგენილი აუცილებელობა იყო.

ღირსეული ადამიანი, სამაგალითო მეგობარი და ხელმძღვანელი...

მანუჩარ რობაქიძე:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალება მისი ოჯახისა და ყველა ჩვენგანისათვის დიდი ტრაგედია, მწუხარება და გულისტკივილია...

ამ უმძიმეს მწუხრიან დღეებში ბევრჯერ მივუსამძიმრე მის ოჯახს, ახლობლებს. ამჯერადაც კვლავ დიდი წუხილით და გულისტკივილით ვუსამძიმრებ მათ. ლაშა ღირსეული ადამიანი, სამაგალითო მეგობარი და ხელმძღვანელი იყო.

ორი წლის განმავლობაში, რაც ერთად ვიმუშავეთ, როგორც მერმა და მოადგილემ, ჩვენს გუნდს ბევრი სირთულე გადაეღობა წინ, მაგრამ ბატონი ლაშა არასოდეს არ ნებდებოდა... სწორედ ასე შევძელით იმ მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება, რაც გადაუდებლად საჭირო იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ამ მძიმე დღეებში, მე როგორც პირველი მოადგილე და ამჟამად მერის მოვალეობის შემსრულებელი, საჭიროდ ვთვლი, რომ საზოგადოებას მივაწოდო მოკლე ინფორმაცია თუ რა შევძელით ბატონი ლაშას ხელმძღვანელობით ამ ორ წელიწადში. ვფიქრობთ, რომ ეს არა მარტო უბრალოდ საინტერესოა, არამედ იმის ხაზგასმაა, რომ მისი ხელმძღვანელობით მიღწეული შედეგები კარგად აჩვენებენ რაიონის პირველი ხელმძღვანელის თავკაცობით ჩვენი გუნდის მუშაობის მაღალ ეფექტს.

ეს შედეგები მართლაც მნიშვნელოვანია. მკითხველის ყურადღებას ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მიმართულებით გავამახვილებ.

ბოლო ორ წელიწადში, რაც ჩვენ, ბატონი ლაშა გოგიაშვილის ხელმძღვანელობით ვიმუშავეთ ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სხვადასხვა ფონდებიდან, პროგრამებიდან, დარგობრივი უწყებებიდან და სხვა ფინანსური წყაროებიდან რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით, შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტში სულ შესრულებულიყო ან შესრულების დამამთავრებელ ეტაპზე გაგვეყვანა 300-ზე მეტი მიზნობრივი ინფრასტრუქტურული პროექტი, საერთო ღირებულებით 70,0 მლნ. ლარი.

ამ პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუფოთი-ტელეფის, ახალთერჯოლის და ზედა სიმონეთის წყალმომარაგების სისტემები, ორ ათეულზე მეტი სასოფლო-საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი, სოფლების ჩხარის №2, 26 მაისის და სიქთარვის საჯარო სკოლების ახალი შენობები და ორი ძირეულად რეაბილიტირებული საჯარო სკოლა, თანამედროვე სტანდარტების ორი საბავშვო ბაღი, რომელთაგან ერთი (სოფელი საზანო) უკვე ფუნქციონირებს, მეორე კი (ქ. თერჯოლის №3 საბავშვო ბაღი) მშენებლობის პროცესშია.

სერიოზული მოცულობის სამუშაოები უკვე შესრულდა ან მიმდინარეობს ქალაქ თერჯოლის ცენტრში, რაც კიდევ უფრო მიმზიდველსა და კომფორტულს გახდის ჩვენი მუნიციპალიტეტის ცენტრს, კეთდება რეკრეაციული ზონა ძევრულას ხეობაში.

აუცილებლად უნდა ითქვას ის, რომ ამ ორ წელიწადში სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის შევძელით და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოვახერხეთ მათთვის 17 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელთაგან 8 უკვე დასრულდა, დანარჩენში კი ახალმოსხლეობას, შესაბამისი კატეგორიის ცხრა ოჯახი მიმდინარე წლის ბოლომდე იზეიმებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი, მთელი საქართველის მასშტაბით ერთ-ერთი გამორჩეული ის რეგიონია, სადაც ყველაზე ადრე პრაქტიკულად მთლიანად დასრულდა ყველა სოფლის გაზიფიკაცია. მართალია, დარჩენილია ცენტრიდან დაშორებული ერთადერთი სოფელი სეფარეთი, მაგრამ იქაც კი, ყველა საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო და გამრიცხველიანების სამუშაო უკვე შესრულებულია.

და ბოლოს... მართალია, უმძიმესია ჩვენი წინამძღოლის გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი ერთად დაწყებულ ბევრ საქმესა და სამომავლოდ დასახული გეგმების შესრულებაში, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ მათ შესასრულებლად. რასაც გავითავისებთ, როგორც ლაშას ხსოვნის და პატივგების სიმბოლოს...

მირზა ქოჩიაშვილი:

ჩემი და ლაშას მეგობრობა თერჯოლის №3 საბავშვო ბაღიდან დაიწყო და გაგრძელდა სკოლაში, სადაც ერთად გავატარეთ ბავშვობის საუკეთესო წლები. მახსოვს, როგორი ბედნიერები ვიყავით და ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს სიხარულს. განვლო წლებმა და ჩვენი მეგობრობა უფრო გამყარდა, მისთვის მეტი სიყვარულის გამოსახატად გადავწყიტე, რომ ჩემი ნათლია გამხდარიყო. ძალიან მიმძიმს ლაშაზე წარსულში საუბარი. დღემდე ვერ ვაცნობიერებ რა ტრაგედია დატრიალდა ჩემს თავს, ვერ ვიჯერებ, რომ განგებამ წამართვა საღსალამათი, კეთილი, თავმდაბალი და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული კაცი. 2020 წელს, როდესაც მომიწია ლაშასთან ერთად საქმიანი ურთიერთობა, ვამაყობდი, რომ მეგობრის გვერდით მიწევდა იმის კეთება, რაც ჩვენს ქალაქს და ჩვენს მოსახლეობას სიკეთეს მოუტანდა. ის შეყვარებული იყო თავის საქმეზე, უყვარდა ყველაფერი, რაც თერჯოლას გაალამაზებდა და მშვენიერს გახდიდა. სიკეთით სავსე თვალებით შესციცინებდა ყველას. დავკარგე ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარდა და ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს სხეულის ნაწილი მომაგლიჯეს. მადლობა ლაშა სამაგალითო ძმობისთვის. ჩვენ აუცილებლად შევხვდებით.

ლაშა ლანჩავა:

ძალიან მიმძიმს ლაშაზე წარსულში საუბარი. ყოველთვის გამორჩეული მეგობარი და ღირსეული პიროვნება იყო. საკუთარ ხალხზე და თერჯოლაზე უზომოდ შეყვარებული, მისთვის პრიორიტეტს თერჯოლის მუნიციპალიტეტის განვითარება წარმოადგენდა. ლაშა ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტის განხორციელებაზე მუდმივად ზრუნავდა, რაც მას ძალიან ახარებდა. ხშირად ხვდებოდა მოქალაქეებს და ფიქრობდა ბევრი ადამიანის პრობლემა დადებითად გადაეწყვიტა, მასთან მისული იმედით ივსებოდა. მისი ინიციატივით მუნიციპალიტეტს ბევრი გაკეთებული პროექტი დარჩება. მთელი გულით ვუსამძიმრებ ლაშას ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს და ყველა მის გულშემატკივარს.

მარიამ ქველიძე:

ბოლო დიალოგი პროექტების დაგეგმვის დროს შედგა...

მოადგილესთან ერთად, სოციალური პროგრამით მოსარგებლე ოჯახებს ესტუმრა, მახსოვს მოხუცი ბებოს დალოცვა და გულთბილი მზერა ,,ბატონო ლაშა თქვენ ისეთი მერი ხართ, ყველა ადამიანის განსაცდელი რომ გესმით და გულთან მიგაქვთ, ჩემს ოჯახს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნეთ. ამ ზამთარში ახალ სახლში აღარ შეგვცივდება"—ბებომ ოჯახი დაულოცა და დაემშვიდობა.

მას შემდეგ დიდხანს ისაუბრა სიკეთეზე და ფიქრობდა კიდევ ბევრი ოჯახი გაეხარებინა.

მინდა დავწერო როგორი იყო, თუმცა წარსულში საუბარი ყველას გვიჭირს...ისეთი ამბავია სიტყვები და ძალა რომ აღარ გეყოფა, დაგვამუნჯა...

ვუსამძიმრებ ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და მის გულშემატკივრებს!

ღმერთმა გაანათლოს ბატონი ლაშას სული!

იგონებენ თანაგუნდელები, მეგობრები...

ღირსეული ადამიანი, სამაგალითო მეგობარი და ხელმძღვანელი...

იგონებენ თანაგუნდელები, მეგობრები...

გიორგი ბარათაშვილი:

უდროოდ დავკარგეთ ღირსეული თანამებრძოლი, ადამიანი, რომელიც მუდამ პროგრესზე იყო ორიენტირებული, ყველგან თერჯოლისა და თერჯოლელების ინტერესებს იცავდა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პირადად ჩემი სახელით კიდევ ერთხელ გამოვხატავ ღრმა მწუხარებას ბატონი ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობ და ვუსამძიმრებ მის ოჯახს.

ძალიან ვწუხვართ, რომ დავკარგეთ კარგი მეგობარი, ღირსეული და გამორჩეული ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით, მაღალი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით.

მისთვის ყოველდღიურ საქმიანობაში მთავარი იყო გუნდური მუშაობის პრონციპი, ამ საქმიანობის სინქრონიზაცია, რაც კარგად გამოჩნდა ჩვენი თანამშრომლობის კონკრეტულ შედეგებში.

პრიორიტეტების უპირობო გათვალისწინებით ურთიერთშეთანხმებულმა საქმიანობამ, მუნიციპალიტეტის სინამდვილეში სრულად გამორიცხა ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა თვითმმართველობის ყველა რგოლში, რაც სასიკეთოდ წაადგა როგორც საკრებულოს ისე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებს. იგი ყოველთვის ჩვენს გვერდით იყო—სისტემატურად მონაწილეობდა საკრებულოს სხდომებში, ერთვებოდა პოლემიკაში, აქტიურად თანამშრომლობდა დეპუტატებთან, ჩვენთან ერთად ადგილებზე გასვლით განიხილავდა კონკრეტულ პრობლემებს.

ლაშა გოგიაშვილი დიდი დანაკლისია მთელი მუნიციპალიტეტის და რეგიონისთვის. თითოეული ჩვენგანი ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს და გაიხსენებს მას, როგორც წარმატებულ, ღირსეულ ადამიანს და მოქალაქეს.

ავთანდილ ურიადმყოფელი:

ჩემი ცხოვრების მანძილზე მქონდა შესაძლებლობა არაერთგზის მემუშავა რაიონის მმართველობაში, ბოლოს კი მერიაში. ამ წლების განმავლობაში არაერთი გამორჩეული ხელმძღვანელი მართავდა რაიონს. მათი ღირსეული წარმომადგენელია ჩვენი მუნიციპალიტეტის აწ გარდაცვლილი მერი ლაშა გოგიაშვილი.

საზოგადოებაში წარმოჩენის უნარი ღმერთმა ყრმობის წლებიდანვე დააყოლა მას, როგორც ხელოვანს, მომავალში კი პოლიტიკურ ლიდერს. იგი პირად საუბრებში ვერ მალავდა დაუოკებელ სურვილს გაელამაზებინა საკუთარი რაიონი და გამოუვიდა კიდეც ეს საქმე. ამის დასტურია ის, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დღეისათვის დამთავრების სტადიაშია ან დამთავრებულია ასობით ინფრასტრუქტურული პროექტი. მარტო ქალაქ თერჯოლის ცენტრის რეაბილიტაციის მოცულობითი პროექტი რად ღირს, რომელიც უკვე დასრულების ფაზაშია. იგი ყოველთვის ზრუნავდა გაცემული პირობის შესრულებაზე და არ იცოდა მიცემული სიტყვის გატეხვა. იყო ზომიერი შექებაშიც და საყვედურშიც. ერიდებოდა მოუზომელი შეფასებების გაკეთებას. ჩვენ არაერთხელ გვიკამათია საქმეზე, მაგრამ მომდევნო დღეებიდან ჩვეულებრივად გრძელდებოდა ურთიერთობა. სწორედ ასეთმა ურთიერთობებმა და დამოკიდებულებამ, არამარტო მერიასა და მის სამსახურებში, არამედ მუნიციპალიტეტის მასშტაბით მას შეუქმნა შესაბამისი ავტორიტეტი, ის ერთი წლის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ იქნა არჩეული მუნიციპალიტეტის მერად.

მახსენდება, იმ პერიოდში, როდესაც საჯარო სამსახურის მუშაკების ხელფასების ზრდის საკითხი იდგა დღის წესრიგში და ზღვრები განისაზღვრებოდა კოეფიციენტების მიხედვით, კატეგორიულად მომთხოვა განსაზღრა შემდგარიყო მაქსიმალური ზღვარის მიხედვით. თანაც დასძინა, რომ ჩვენ ყველა მუშაკს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ანაზღაურება. მათი სამსახურებრივი პასუხისმგებლობა კი ჩვენზეა დამოკიდებულიო. ასეც მოხდა.

მუნიციპალიტეტის მერი წარმატებულ საქმიანობას ხედავდა ბიუჯეტის მოცულობის ზრდაში, 2020 წლის ბიუჯეტი ყველა წყაროს მიხედვით, თუ შეადგენდა 20.0 მილიონ ლარს, წლევანდელი წლის შედეგებით მიაღწევს 30.0 მილიონ ლარამდე. ახლა როდესაც მიმდინარეობს 2023 წლის ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა, მას სურვილი ჰქონდა და შეხვედრები უკვე დაგეგმილი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ახალი საბიუჯეტო პერსპექტივების განსაზღვრისათვის.

მან სხვა თვისებებითაც დაგვამახსოვრა თავი არაერთ კორპორაციულ საღამოსა თუ პირად ურთიერთობებში.

დასანანია, რომ იგი ვერ გააგრძელებს თავის დაწყებულ საქმიანობას, რადგან ფიზიკურად დაგვაკლდა ყველას — მეგობრებს, ოჯახს და სრულიად თერჯოლას, მან ნამდვილად დატოვა თითოეულ ჩვენგანში სურვილი მისი მუდამ გახსენებისა.

დიანა ფოცხვერაშვილი:

ძნელია იმ წლების დავიწყება ჩემთვის, როცა ბატონი ლაშა მერად მოვიდა თერჯოლის მუნიციპალიტეტში. პირველივე დღიდან ის არა მარტო მერი, არამედ უდიდესი და უძლიერესი მეგობარი გახდა თითოეული ჩვენგანისთვის.

ბატონი ლაშა გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით და თავისი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით. მას თითოეული მოქალაქის გაჭირვება გულთან მიჰქონდა და მათი წუხილის თანაზიარი ხდებოდა.

მუნიციპალური სოციალური პროგრამების დამტკიცების წინა პერიოდი მისთვის განსაკუთრებულად საყურადღებო იყო. ყველა პროგრამას გულდასმით და საფუძვლიანად განიხილავდა და მათში ყოველთვის სასიკეთო ცვლილების შეტანაზე ფიქრობდა. ბატონი ლაშას დამსახურებაა, რომ „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების პროგრამა“ წელიწადში ნაცვლად ერთჯერადისა, ორჯერადი გახდა.

ყველა დღესასწაულზე — ეს ქრისტეს აღდგომა იქნებოდა, შობა თუ ახალი წელი, განსაკუთრებულად საყურადღებო ბენეფიციარები უნდა მოენახულებინა და თავისი ხელით მიეტანა მათთვის პროდუქტი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო და გამოვყო ერთი სოციალური პროგრამა, რომელმაც სხვადასხვა რაიონების დაინტერესება გამოიწვია და მათ მისი გადაღება გადაწყვიტეს. ეს არის „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანების მოქალაქეების დახმარების პროგრამა“. გასულ წლებში ჯერ 3, შემდეგ კი 5 სახლი აშენდა, წელს კი ბატონი ლაშას ძალისხმევით 9 ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას.

ბევრი გეგმა ჰქონდა ბატონ ლაშას, ბევრი პროგრამის გაზრდას და გაძლიერებას ფიქრობდა, მაგრამ არ დასცალდა. გჯეროდეთ ბატონო ლაშა — თქვენს დაწყებულ საქმეებს თქვენივე გუნდი სწორედ ისე გააგრძელებს, როგორც გსურდათ. უფალმა გაანათლოს თქვენი უსაზღვროდ კეთილი სული!

გურამი თურქაძე:

იმ დროს პანდემია მძვინვარებდა, მკაცრი აკრძალვები და შეზღუდვები მოქმედებდა. უძრაობის შეგრძნება ეუფლებოდა ყველას.

მაგრამ, როცა მოზღვავებული ენერგიის, დახვეწილი გემოვნების, მტკიცე ნებისყოფისა და უდიდესი მხარდაჭერის უნარებით აღჭურვილი ადამიანი იწყებს მშობლიური მუნიციპალიტეტის მართვას, იმედი გეძლევა და გრძნობ, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება.

ეს ლამაზად მოახერხა ლაშა გოგიაშვილმა. მოსვლისთანავე თქვა — ბევრი საქმე უნდა გავაკეთოთო... და დაიწყო: ჯერ ახალგაზრდებს შეხვდა, რაზე გიოცნებიათ, რას თვლით საჭიროდ თქვენს ქალაქსა და სოფლებში, რომ გაკეთდესო. მერე სარბევიდან და წყალწითელადან კაკაბოურამდე თვითონ შეიხედა ყველა ორღობეში. დაიგეგმა გზების, წყალმომარაგების სისტემის, სკოლების, საბავშო ბაღების, სკვერების, ტრენაჟორებისა და სპორტული მოედნების მშენებლობა, ქალაქის ცენტრის სრული რეაბილიტაცია. ამას ახერხებ მაშინ, როცა გიყვარს. ბევრს ფიქრობდა ახალი კულტურის ცენტრის მშენებლობაზე. უყვარდა სიმღერა, ცეკვა, თეატრი, პოეზია და შემოქმედი ადამინები. როგორი ბედნიერი იყო ხოლმე, როცა მშობლიურ ანსამბლებთან ერთად მღეროდა.

როგორ შეჰხაროდა 11 ოქტომბრის მოახლოებას, რომელიც ხმამაღალი განაცხადით — გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის გახნით იწყებოდა. ქალაქის ცენტრი სავსე უნდა ყოფილიყო საბავშვო ატრაქციონებით, უფასო მომსახურების სერვისებით. დავით კლდიაშვილის ძეგლთან, სამთავრობო ადმინისტრაციის მიერ ნაჩუქარ ღონისძიებაში ჩვენი შტრიხებიც ჩართო: საპატიო მოქალაქეების წარდგენა და ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივების ერთსაათიანი პროგრამა, მერე თერჯოლური ღვინოების დაგემოვნება სტუმრებთან ერთად... უხაროდა... ახლა გულმოკლული ადამიანები დადიან გარშემო... ლაშა გოგიაშვილის დაწყებული საქმეები უნდა დავამთავროთ მუნიციპალიტეტის და მომავალი თაობის სასიკეთოდ.